ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 8 აპრილი, 2013 №82 (6083) ფასი: 30 თეთრი

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
8 ლარი
სამტომეულის მესამე ტომი

# ალეკო შალამბერიძე: „თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიების მითვისებას გეგმავენ“

## რა დროს პრეზერვატივების აკრძალვაა, როცა ქართველები საქართველოში მიწის გარეშე რჩებიან!

გვ.3

## თამარ კორძაია: „ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის არასდროს მიბრძოლია“

გვ.3

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

— გვ. 2 —

## რატომ არ ჩქარობს „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენას

გვ.2



## ნოდარ ნათაძე: „საქართველოში ჩამოსახლებას მუსლიმანი სომხებიც ითხოვენ“

გვ.6

## რევაზ მიშველაძე: „სააკაშვილის წყალობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს“

გვ.4

## ბილაინის ოფისი რუსთაველთა ცხოვრებაში ნათელ ფერებსა და კომფორტს შეიტანს

გვ.5

## პარადოქსული საქართველო

— გვ. 5 —

3 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
იოანე პავლე II
8 ლარი




ISSN 1987-9385

**2** ტელეკომპანია „იმედმა“ „აისის“ სამაუწყებლო სიხშირეზე თანხმობა ვერ მიიღო

**4** გიორგი კალანდაძე: „ირაკლი ალასანიამ პირადად მომთხოვა, „მეთანამშრომლა“ გამოძიებასთან“

**2** ივანიშვილი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობას არ მიიღებს

**6** წელს 15 ჟურნალისტი დახოცეს

## ივანიშვილი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობას არ მიიღებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი 7-8 აპრილს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ორგანიზებით გასამართ საერთაშორისო ეკონომიკურ ღონისძიებას არ დაესწრება. ამის შესახებ „მედიანიუსს“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურში განუცხადეს.

ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია მიიღებენ.

ბაქოში ეკონომიკური ფორუმის გამართვაზე ინფორმაცია აზერბაიჯანულმა მედიამ გაავრცელა.

მისი ცნობით, ფორუმს აზერბაიჯანის პირველ პირთან, ილჰამ ალიევთან ერთად რუსეთის პრეზიდენტი ვლა-

დიმირ პუტინი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც უნდა დასწრებოდნენ, თუმცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია უარყო.

აღსანიშნავია, რომ ივანიშვილის ბაქოში გამგზავრების შემთხვევა პირველი იქნებოდა, როცა მას პრემიერ-მინისტრის რანგში პუტინთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემოდა. როგორც ცნობილია, ივანიშვილი თავის რუს კოლეგას, დიმიტრი მედვედევს მიმდინარე წლის დასაწყისში დავოსში სწორედ ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში შეხვდა.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ფორუმში პუტინის გარდა, ყირგიზეთის პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და ღონისძიების ორგანიზატორი ორგანიზაციის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელი კლაუს შვაბიც მიიღებენ მონაწილეობას.

ფორუმის მონაწილეები სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში არსებულ ეკონომიკურ პერსპექტივებზე და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე იმსჯელებენ. დაგეგმილია მასში მონაწილე ლიდერების სიტყვით გამოსვლებიც.

ღონისძიების ორგანიზატორი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმია“.

მედიანიუსი

# რატომ არ ჩქარობს „ქართული ოცნება“ სამართლიანობის აღდგენას

შორენა კოწოწაშვილი

სამართლიანობის აღდგენის გზაზე მდგარი ახალი ხელისუფლება, რომელიც საკმაოდ ხმაურიანი და ამბიციური განცხადებებით გამოირჩეოდა წინასაარჩევნო პერიოდში, თანდათან სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებს იმის გამო, რომ დღემდე ვერც ერთ გახმაურებულ საქმეზე ვერ მოხდა საბოლოო ვერდიქტის გამოტანა და საპატიმროს ხელისუფლების გავლენიანი ფიგურის მსჯავრდება. არადა, ფაქტია, საზოგადოება, რომელმაც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, ელის იმ დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯა-დაპატიმრებას, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ელიტური კორუფციის წყალობით, არა მხოლოდ სერიოზულად გამდიდრდნენ, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამტარებლებად ჩამოყალიბდნენ. ამ ლიდერი ნაციონალების დიდი ნაწილის ვინაობა საზოგადოებისთვის ცნობილია და ამიტომაც მატულობს მის რიგებში ნიჰილიზმი, იქიდან გამომდინარე, რომ დღეს გია ბარამიძე, ვანო მერაბიშვილი და წინა ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნები არა მხოლოდ თავისუფლებაში არიან, არამედ ივანიშვილის მთავრობას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ და არაკომპეტენტურად და უსუსურადაც წარმოაჩენენ.

მართალია, მინისტრთა კაბინეტი არცთუ ურიგოდ გამოიყურება, მაგრამ ფაქტია, პრემიერის გუნდს მკვეთრი ნაბიჯები არ მოსწონს ანდა მსგავს სვლებს ერიდება, დასავლეთის ხმაურიანი შეფასებებიდან გამომდინარე. ეს კი, ფაქტია, ნაციონალებს ათამამებს და 19 აპრილის აქციის მოლოდინში მათ ტონში მუქარაც მატულობს.

უმრავლესობაში არ მალავენ, რომ ისინი ძალიან ერიდებიან, სამართლიანობის აღდგენის პროცესში დასავლეთიდან სერიოზული კრიტიკა არ იყოს და ამან ევროპული სტრუქტურებისკენ მიმავალ საქართველოს ხელი არ შეუშალოს. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობა ვერ ასცდება იმ კითხვებზე პასუხის გაცემას, თუ რატომ ვერ მოხერხდა დღემდე იმ პროკურორებისა და შს სამინისტროს თანამშრომლების ახალი კადრებით ჩანაცვლება, რომლებიც წინა ხელისუფლების ინტერესების გამტარებლები იყვნენ და მათ დღევანდელ ნაბიჯებში

ექსპერტები საბოტაჟის ნიშნებს ხედავენ.

და მაინც, რა ხდება სასამართლოში, რატომ ვერ გაბედა ახალმა ხელისუფლებამ სასამართლოს პირველი პირის – კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ საიმპიჩმენტო პროცედურის წამოწყება და შეძლებს თუ არა ამ სასამართლოს პირობებში ახალი ხელისუფლება მაღალი რეიტინგის შენარჩუნებას? – ეს ის საკითხებია, რომლებიც დღეს საზოგადოების სხვადასხვა წრეში აქტიურად განიხილება. საზოგადოების სხვადასხვა შეხედულების მიუხედავად, ფაქტობრივად, ყველა თანხმდება, რომ თუ დამნაშავე მაღალჩინოსნები არ იქნებიან სათანადოდ გასამართლებული და ეს უკანასკნელნი ობიექტური სასჯელით არ შევლენ ციხეში, „ქართული ოცნების“ მმართველობას პრობლემები იმაზე ადრე გაუჩნდება, ვიდრე ეს უმრავლესობის იმ დეპუტატებს წარმოუდგენიათ, რომლებიც ჯერ კიდევ ოცნების ტყვეობაში რჩებიან და დეპუტატის მანდატით ტკბობას განაგრძობენ.

სისხლის სამართლის სპეციალისტები არ მალავენ, რომ არაერთი სს საქმეა, რომლებიც, ფაქტობრივად, გამოძიებულია და წინა ხელისუფლების პოლიტიკური ნების არქონის პირობებში არ მოხდა ამ საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ერთ-ერთი ასეთია აფრასიძეების გახმაურებული საქმე, რომელზეც არა მხოლოდ აფრასიძეების ინტერესების დამცველი ადვოკატების განცხადებით, არამედ პრეზიდენტის აღიარებითი ჩვენებიდანაც ირკვევა, რომ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ჩატარდა სვანეთში სპეცოპერაცია, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა.

ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის ეტაპზე დიდი მნიშვნელობას ანიჭებს საერთო სასამართლოების კანონში იმ ცვლილებების შეტანას, რომელიც გუშინ პარლამენტმა დაამტკიცა და რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლასაც ითვალისწინებს. მართალია, საპარლამენტო უმცირესობა კომენტარებში აფიქსირებს, რომ ხელისუფლებამ ამ ცვლილებების დროს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა, მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ნაციონალები იმიტომ ნერვიულობენ, რომ სასამართლოზე კონტროლს კარგავენ. რაც შეეხება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს, როგორც უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე აცხადებს, ამ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი იქნა ქართული მხარის მიერ გათვალისწინებული.

საპარლამენტო უმცირესობაში აცხადებენ, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონს პრეზიდენტი, სავარაუდოდ, ვეტოს დაადებს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნულ კანონზე ვეტოს დადებაზე ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო ინტერვიუშიც ისაუბრა.

– ეს ცვლილებები აბსოლუტურად იცავს ბალანსს, რომელიც უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ჩვენ ვამბობდით და შევძელით, ეს კანონი ბოლომდე გაგვეტანა. ეს არ არის ხელის გადაგრეხა, ძალის დემონსტრირება ან იძულება. რა განცხადებებიც ამ კანონთან დაკავშირებით ისმოდა, ეს არის პოლიტიკური სპეკულაციები. სხვათა შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ასეთი სასამართლოს შექმნაში, რომლის მიმართაც ამდენი წლის მანძილზე სამართლიანი კრიტიკა ისმის, – აცხადებს კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წევრი მანანა კობახიძე.

***– ქალბატონო მანანა, ბევრი იურისტი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტ ზე უნდა იფიქროს. იგივე პოზიცია აქვს ნინო ბურჯანაძესაც. რატომ არ უჭერს უმრავლესობა კუბლაშვილის იმპიჩმენტს მხარს?***

– ჩვენ არ გვინდა გავიმეოროთ ის, რასაც აკეთებდა ნაცმოძრაობა ანუ ავდგეთ და ხელაღებით გავუშვათ მოსამართლეები სამსახურიდან. გავიხსენოთ, რატომ წავიდა ლადო ჭანტურია სასამართლოდან, რატომ გაათავისუფლეს უზენაესი სასამართლოდან ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და სხვა მოსამართლეები. ეს მიდგომები ხომ იყო აბსოლუტურად არასწორი და პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ამდენი წლის მანძილზე ამისთვის ვაკრიტიკებდით ნაცმოძრაობას. ერთი რამ არის: თუ სასამართლო იგრძნობს, რომ ის არ არის წნეხის ქვეშ, სასამართლო უკეთესი გახდება, რადგან ბევრი მოსამართლე ვიცი, რომ არის კვალიფიციური, წესიერი, მაგრამ ვერ მიიღო ის გადაწყვეტილება, რა რწმენაც შინაგანად ჰქონდა, რადგან მასზე იყო ზეწოლა. ეს მთელი სისტემის მიზეზი იყო. თუ ამას პირველ რიგში საკანონმდებლო დონეზე მოვაგვარებთ, დარწმუნებული ვარ, იმ მოსამართლეთა კორპუსშიც იგრძნობენ, რომ მათზე არავინ ძალადობს და ისინიც უკეთ იმუშავებენ.

***– ანუ მიანიშნებთ, რომ კუბლაშვილის იმპიჩმენტის აუცილებლობა არ არის?***

– ეს დასავლელი პარტნიორებისგან – ევროკავშირისგან, ევროსაბჭოსგან, აშშ-სგან აღიქმება, ალბათ, როგორც ზეწოლა. ეს იქნება ძალიან მძიმე შეფასებები. ეს შექმნის პრობლემას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

# ტელეკომპანია „იმედმა“ „აისის“ სამაუწყებლო სიხშირეზე თანხმობა ვერ მიიღო

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ტელეკომპანია „იმედს“ ტელეკომპანია „აისის“ სამაუწყებლო სიხშირის გადაცემის თაობაზე წინასწარი თანხმობა არ მისცა.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია „იმედი“ და „აისი“ ერთი კომპანიის, „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ მფლობელობაში შემავალი მედიასაშუალებებია. აღნიშნულ კომპანიას ბადრი პატარკაციშვილის შვილი, ლიანა ჭყონია ხელმძღვანელობს.

როგორც ირკვევა „იმედს“ „აისის“ შერწყმა და სამაუწყებლო ლიცენზიის ამ გზით მიღება სურდა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომაზე სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა.

ტელეკომპანია „აისი“ 106 ლიცენზიას ფლობს, რომელზეც პრეტენზიას მისი ყოფილი კანონიერი მფლობელი „იბერია თV“ აცხადებს.

2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სკანდალურად დახურული „იბერიის“ ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მათ თავის დროზე ლიცენზია ზეწოლის შედეგად დაათმობინეს.

„ომეგა ჯგუფში“ შემავალ კომპანიებში, მათ შორის ტელეკომპანია „იბერიაში“ სპეცდანიშნულების რაზმი 2004 წლის თებერვალში შევიდა. სპეცრაზმის ასეულმა „ომეგა ჯგუფი“ თითქმის ერთი წლის შემდეგ დატოვა. არსებული ცნობით, პროკურატურამ კომპანიის ხელმძღვანელობას ამის სანაცვლოდ ერთი პირობა, ტელეკომპანია „იბერიას“ ლიცენზიის დათმობა წაუყენა.

ტელეკომპანიის წარმომადგენლები იხსენებენ, რომ ეს პროცესი შემდეგნაირად გაფორმდა: ფიზიკური პირი, პროფესიით სტომატოლოგი დავით კაკაურიძე, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იმდროინდელი თავმჯდომარის, დიმიტრი ქიტოშვილის მეზობელი იყო, „იბერიას“ აქციების 25 პროცენტის მფლობელი გახდა. მან ეს წილი 500 ლარად შეიძინა, თუმცა „იბერიას“ წარმომადგენლების მტკიცებით, არც ეს თანხა გადაუხდია. იმავე დღეს მან თავისი წილის დათმობის შესახებ განცხადება გააკეთა და აქციების 25 პროცენტის სანაცვლოდ ტელეკომპანიის სამაუწყებლო სიხშირე საკუთარ თავზე გადაიფორმა.

ტელეკომპანია „იბერიამ“ სამაუწყებლო ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობა ვეღარ განაგრძო, ხოლო, ზემოხსენებული ლიცენზიის საფუძველზე ორი დღის შემდეგ კაკაურიძემ დააარსა ტელეკომპანია „აისი“, რომელსაც შემდგომში სამაუწყებლო საქმიანობა აღარ უწარმოებია 2012 წლამდე, რაც კანონის დარღვევა და მისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის საფუძველი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ფორმით მისი სანქცირება წლების განმავლობაში არ მომხდარა.

„იბერიამ“ ცოტა ხნის წინ სამაუწყებლო ლიცენზიის დაბრუნების მოთხოვნით სამართლებრივი ბრძოლა დაიწყო და პროკურატურაში განცხადება შეიტანა. ტელეკომპანიამ კომუნიკაციების კომისიასაც მიმართა განცხადებით და სთხოვა, რომ „აისის“ მფლობელობაში უკანონოდ არსებული ლიცენზიის (რომელზეც „იბერიას“ სამართლებრივი ბრძოლა აქვს დაწყებული) ვინმეს მიერ რაიმე ფორმით გამოყენების შესაძლებლობა არ დაეშვა.

ამას გარდა „იბერია-ტვ“-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს, შპს „ტელეკომპანია აისის“ ლიცენზიაზე ყადაღის დადების მოთხოვნით. მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაითვალისწინა აღნიშნული და „იბერიისათვის“ უკანონოდ ჩამორთმეული და „აისისათვის“ გადაცემული ლიცენზიის გადაცემის თაობაზე წინასწარი თანხმობა არ მისცა ტელეიმედს.

ტელეკომპანია „აისი“ და შესაბამისად, ზემოხსენებული ლიცენზია პატარკაციშვილების ოჯახის მფლობელობაში რამდენიმე თვის წინ აღმოჩნდა. როდესაც სახელისუფლებო ცვლილების შემდეგ გიორგი არველაძემ მათ ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნა, თან ტელეკომპანია „აისიც“ გადასცა, რომელიც „იმედმა“ არველაძის მმართველობის პერიოდში 2012 წელს შეიძინა.

გამოდის, რომ თავის დროზე „ტელეკომპანია წართმეული“ პატარკაციშვილების ოჯახის კუთვნილებაში ასევე სხვა ტელეკომპანიისათვის („იბერია“) „წართმეული“ სამაუწყებლო ლიცენზია აღმოჩნდა, თუმცა „იმედის“ ხელმძღვანელობას „იბერიასთვის“ აღნიშნული სამაუწყებლო ლიცენზია ამ დრომდე არ დაუბრუნებია.

მედიანიუსი

აბალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, ფოტოების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო შალამბერიძე: „თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიების მითვისებას გეგმავენ“

## რა დროს პრეზერვატივების აკრძალვაა, როცა ქართველები საქართველოში მიწის გარეშე რჩებიან

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქართული მიწები სარფიანად გაყიდა ინდოელებზე, თურქებზე, ჩინელებზე, პაკისტანელებზე და ყველაზე, ვინც ამის სურვილი გამოთქვა. ქართველი გლეხი კი ფაქტიურად მინის გარეშე დარჩა. წინა ხელისუფლების პირობებში ამის გაპროტესტებას ვერავინ გაბედავდა. ახლა კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უკვე დაიწყო ხალხმა პროტესტის გამოხატვა. ამბობენ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება და საქმე შესაძლოა ცუდად დამთავრდეს თუ ახალმა ხელისუფლებამ არაფერი იღონა.

რის გაკეთება შეუძლია ახალ ხელისუფლებას გაყიდული მიწების დასაბრუნებლად, რაზე უნდა მსჯელობდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რა საფრთხეები გველოდება მეზობელი ქვეყნებიდან – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.

***– საქართველოს რეგიონებში მოსახლეობა უკვე ღიად დაუპირისპირდა უცხოელ ინვესტორებს. ხალხი მიწების უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას ითხოვს. რა უნდა გააკეთოს ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ?***

– პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კანონი, რომლითაც უცხოეთის მოქალაქეებზე ქართული მიწის გასხვისება აიკრძალება. ჩვენს პარტიას წინასაარჩევნო პროგრამაში ჩაწერილი ჰქონდა ამ კანონის შემოღების აუცილებლობა. ჩვენ ასევე მიგვაჩნია, რომ მიწების გასხვისება არც იურიდიულ პირებზე არ შეიძლება. მიწა უნდა იყოს მხოლოდ კერძო ფიზიკური პირების ხელში. ჩვენი ეს პოზიცია ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაიზიაროს. ყველანი კარგად ვხედავთ, რა პროცესები მიდის რეგიონებში.

***– მიწების გასხვისება კარგა ხანია, რაც მიმდინარეობს. ხალხმა კი მხოლოდ ახლა ამოიღო ხმა.***

– სააკაშვილის ხელისუფლება მათ ტერორში ამყოფებდა. მაშინ ხმის ამოღება ნებისმიერისთვის ცუდად დასრულდებოდა. ახლა ქვეყანაში ხმის ამოღება და პოზიციის დაფიქსირება საშიში აღარ არის. ამიტომაც ამოიღო ხალხმა ხმა. ისინი სრულიად სამართლიანად ითხოვენ მათი უფლებების დაცვას. ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა. მათ კანონმდებლობა უნდა მოიყვანოს სისრულეში. სამწუხაროდ, ამ თვეების მანძილზე პარლამენტში მხოლოდ სისულელეებს ვისმენთ.

***– საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სისულელე იყო?***

– საკონსტიტუციო ცვლილებამდე რა კანონებს განიხილავდნენ, არ გახსოვთ? პრეზერვატივებსა და ჩოხებზე რომ მიიტანეს მაშინვე იერიში, ეს ნორმალურია? იუმორმოჭარბებულ გოგა ხაჩიძეს გასართობად კიდევ ეს უნდოდა? რა დროს პრეზერვატივების აკრძალვაა, როცა საქართველოში ქართველები მიწის გარეშე რჩებიან. ამ მტკივნეულ საკითხზე ხმას რატომღაც არავინ იღებს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“, მიხედოს ამ საკითხს და სასწრაფოდ მიიღონ კანონი.

***– მარტო კანონის მიღება უშველის საქმეს? უცხოელებს მიწა კანონიერად აქვთ ნაყიდი.***

– ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილებაც უნდა გამოვიყენოთ. უცხოელ ინვესტორებს კომპენსაცია უნდა გადავუხადოთ და იქ გავუშვათ, საიდანაც ჩამოვიდნენ.

***– ვინ გადაიხდის ამ კომპენსაციას, მიწა ნაციონალებმა გაყიდეს. ახლა ისინი ოპოზიციაში არიან. მათ ნაცვლად კომპენსაცია ახალმა ხელისუფლებამ უნდა გადაიხადოს?***

– მე არ მაინტერესებს ახალი და ძველი ხელისუფლება. სახელმწიფო არის ერთი. ამიტომაც ეს პრობლემა ახალმა ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს და გადაიხადოს კომპენსაცია. ხალხი ძალიან არის გამწარებული და შესაძლოა ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყოს.

***– კომპენსაციების გადახდა გამართლებს? დათანხმდებიან ინვესტორები?***

– ამ მეთოდმა არგენტინაში, ბრაზილიასა და ჩილეში გაამართლა. ჩვენთანაც უნდა გაამართლოს. თუ ამ გზას დავადგებით პრობლემას მშვიდად და ცივილურად მოვაგვარებთ.

***– თუ არ წავიდა ხელისუფლება ამაზე, რა მოხდება მაშინ?***

– მაშინ გაგრძელდება დაპირისპირება, რაც ქვეყნისთვის ძალიან ცუდად დასრულდება. ქვეყანას ხელისუფლება იმიტომ ჰყავს, რომ საერო პრობლემები მოაგვაროს. როცა ხალხი არჩევნებზე 41 ნომერს აძლევდა ხმას, ყველა თავის პრობლემის მოგვარებაზე ოცნებობდა. ხელისუფლება არსებული პრობლემების მოგვარების პირობას იძლეოდა. მე კარგად მესმის, რომ ყველა პრობლემა ასე უცბად ვერ მოგვარდება. მიწებთან დაკავშირებით კი უკვე რამდენიმე თვის წინ უნდა მიეღოთ კანონი.

***– ამ ყველაფერს ემატება მესხეთელი თურქების პრობლემა. რესპუბლიკელებმა რეგიონული ენების საკითხის წამოწიეს. ინტერნეტსაიტებზე უკვე გაჩნდა ცნობები, რომ თურქეთში გარკვეული ძალები აჭარის დაბრუნების იდეით გამოდიან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ყველაფერს შეთქმულების სახე აქვს.***

– ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც დღეს ჩვენ წინაშე დგას, ქვეყნის დანაწევრების საფრთხეა. რუსები უკვე დგანან ჩვენს ტერიტორიაზე და მათი მტრული განზრახვა ნათელია. თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჯარები ჩვენს ტერიტორიაზე არ დგანან. ამის მიუხედავად, ისინი ჩვენს მიწაზე იჭრებიან. ამის ნათელი მაგალითი დავით გარეჯი გახლავთ. სომხებიც ნელ-ნელა მოდიან ჩვენს მიწაზე. თურქებზე აღარაფერს ვამბობ. ღამის მთელი აჭარა მაგათ ხელშია. ქვეყნის წინაშე ძალიან სერიოზული პრობლემები დგას. სამწუხაროდ, ამ თემებზე არავინ საუბრობს. სამაგიეროდ, მთელი მედია იმაზე ვიშვიშებს, პოლიციის მაღალჩინოსანმა როგორ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა საიას მთვრალ თანამშრომელს.

***– კი მაგრამ, ესეც ხომ პრობლემაა?***

– გეთანხმებით, რომ პრობლემაა. მაგრამ იმ საფრთხეებთან შედარებით რაც დღეს ქვეყნის წინაშე დგას ეს საკითხი სახსენებელიც კი არ არის. სამწუხაროა, რომ ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე საოცნებო ხელისუფლება არ ფიქრობს. ბოლო დროს შეცდომებსაც უშვებენ.

***– რა შეცდომებს?***

– ცოტა ხნის წინ მეოცნებეებმა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება დაიწყეს. გადაიდგა მნიშვლოვანი ნაბიჯები, მაგრამ საკმარისი იყო რუსეთის საზღვაო ფლოტს შავი ზღვის აკვატორიაში მანევრები დაეწყო ატყდა ერთი ამბავი. რაც მე არასწორად მიმაჩნია.

***– რატომ მიგაჩნიათ არასწორად?***

– იმიტომ, რომ ეს მანევრები მიმართულია შავი ზღვის აკვატორიუმში თურქეთის გაძლიერების წინააღმდეგ. ოფიციალური ანკარა ამაზე ხმას არ იღებს. სამაგიეროდ ჩვენი საგარეო უწყება აკეთებს რაღაცა სულელურ განცხადებებს. უკეთესი იქნებოდა, ასეთი განგაში აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით აეტეხათ. თურქების ასეთი დაჟინება ძალიან საეჭვოა. აზიზიეს მეჩეთის თემამ ჯერ კიდევ 2011 წელს წამოიწია. მე კარგად მახსოვს, პოლიტიკოსების ერთი ნაწილი რა გაშმაგებით ეწინააღმდეგებოდა მეჩეთის აშენებას. დღეს იგივე ხალხი ვერაფერ ცუდს ვერ ხედავს იმაში, თუ მეჩეთი აშენდება.

***– ამბობენ, რომ აჭარაში 150 მეჩეთი და ორჯერ მეტი მედრესე მოქმედებს. რაღაში სჭირდება თურქებს ბათუმში ახალი მეჩეთის აშენება. ამ კითხვას რატომ არავინ სვამს?***

– მე როგორც ვიცი, აჭარაში 150-ზე მეტი მეჩეთია უკვე. თურქებს ეს არ აკმაყოფილებთ. იმიტომ, რომ ეს მეჩეთები ქართველმა მუსლიმანებმა ააშენეს თურქების სურვილია მათ მიერ აშენდეს ქართულ ქალაქში აზიზიეს მეჩეთი. მე ვკითხულობ, რატომ მაინცდამაინც თურქებმა უნდა ააშენონ? ხომ შეიძლება ეს ქართველებმა გააკეთონ. ისიც იმ შემთხვევაში თუ მეჩეთის აშენება თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ძეგლების გადარჩენის სანაცვლოდ ხდება. ძალიან დიდი საფრთხის შემცველია რეგიონული ენების შემოღება. ამის გაკეთება საქართველოს დანაწევრებას შეუწყობს ხელს. სამწუხაროდ, პარლამენტში კაციშვილი არ გამოსულა და არ უთქვამს, რა საფრთხეს მოუტანს ქვეყანას ეს ენები. არც ის უთქვამს ვინმეს, თუ რა გზით შეგვიძლია ამის თავიდან აცილება.

***– ევროსაბჭოში როცა გვიღებდნენ, მაშინ ავიღეთ ვალდებულება რეგიონულ ენებთან დაკავშირებით. ამ ვალდებულების თავის არიდება შესაძლებელია?***

– სხვა ყველა ვალდებულება შესრულებულია რეგიონული ენები რომ მომინდომეს? კი ბატონო ავიღეთ ვალდებულება, მაგრამ უპრობლემოდ შეგვიძლია ვთქვათ უარი მათ შესრულებაზე, ქარტიაში წერია, რომ რეგიონული ენის სტატუსი იმ ენებს უნდა მიენიჭოს, რომლებიც გაქრობის წინაშე დგანან. ახლა გამაგებინეთ, რომელი ენა დგას გაქრობის წინაშე – სომხური თუ აზერბაიჯანული. ასევე სახიფათოა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის შემთხვევაში ესა თუ ის სასაზღვრო რეგიონი პოლიტიკურად დაექვემდებარება საქართველოს მთავრობას. კულტურული და ეკონომიკური მითითებები კი შეუძლია ერევნიდან ან ბაქოდან მიიღოს. საქართველოს წინაშე ძალიან ბევრი საფრთხე დგას. საქართველოს დაშლის პროცესი უკვე დაწყებულია.



***– ამ საქმეში რუსეთის როლზე რას გვეტყვით?***

– რუსეთი თავისთავად დიდი პრობლემაა, მაგრამ ამ სიტუაციაში მათგან ყველაზე ნაკლებია საფრთხე.

***– ვითომ?***

– ასე, ასე. რუსები ჩვენს ტერიტორიაზე ღიად დგანან. ვიცით, რაც არის მათი მიზანი. ჩვენი ამოცანაა, რომ ისინი იქედან გავიყვანოთ. ოღონდ ეს მოლაპარაკებების გზით უნდა მოხდეს. რუსეთთან ომზე არც კი უნდა ვიფიქროთ. მე პატივს ვცემ ქართულ არმიას. ვიცი, რომ ისინი მზად არიან, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს შეებრძოლონ, მაგრამ რუსეთთან ბრძოლით არაფერი გამოგვივა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსული არმიის რიცხოვნება ჩვენსაზე ბევრად მეტია. ამიტომ არის საჭირო მოლაპარაკებები. რუსეთი საშიშია, მაგრამ სხვა მეზობელი სახელმწიფოები უფრო სახიფათონი არიან. ისინი შეფარვით ცდილობენ ჩვენი მიწების მითვისებას. ახლა ჯერი მოსახლეობაზეა.

***– მოსახლეობამ რა უნდა გააკეთოს?***

– გამოხატოს პროტესტი და დაფიქსიროს პოზიცია. დამოუკიდებლობა რისთვის გვინდოდა, თუ არც ენას დავიცავთ, არც მიწას და არც სარწუნოებას? დღეს საქართველო ფორმალურად არის მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყანა. მითითებებს ისევ სხვა ქვეყნებისგან ვღებულობთ. ჩვენს ტერიტორიებსაც სხვები ეპატრობენიან. ამ დროს ქვეყანაში მთავარი სალაპარაკო თემა საიას მთვრალი თანამშრომლის და პოლიციელ თელიას დაპირისპირებაა. კიდევ ვამბობ, ეს არიან უმნიშვნელო საკითხი. დროა ხელისუფლებამ სხვა საკითხებზე გადაიტანოს ყურადღება.

***– ხელისუფლებას არ გადააქვს ამ საკითხებზე ყურადღება. მაგრამ რატომ დუმს ხალხი?***

– ხალხმა ძალიან დიდი ძალა და ენერგია დახარჯა სააკაშვილის გადაგდებაში. ცოტათი დაღლილია ხალხი და ამას მივაწერდი მათ დუმილს. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ხალხი გამოფხიზლებულია. ოცნების რეიტინგი დაეცა. დაეცა იმასთან შედარებით, რაც 6 თვის წინ იყო. მათი რეიტინგი იმიტომ დავარდა, რომ ხალხს აღარ სურს მოცდა. სააკაშვილის დროს გამუდმებით ვიძახდით, ვაცადოთო, ვაცადოთო. სადამდე მიგვიყვანა ამან, ყველამ კარგად ვნახეთ. ხალხმა უკვე ამოიღო ხმა, მიწების გაყიდვას აპროტესტებენ. იმედი მაქვს, რომ მალე ყველა საფრთხეზე ამოიღებენ ხმას.

***– თქვენ რამდენჯერმე გაუსვით ხაზი საიას მთვრალი თანამშრომლისა და პოლიციელ თელიას დაპირისპირებას. გააპროტესტეთ, რომ ეს ამბავი იქცა მთავარ თემად. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ საიას უკან დგანან რესპუბლიკელები და მათი დავალებით მიდის შეტევა ირაკლი ღარიბაშვილზე. ამაზე რას იტყვით?***

– ვინ ვის უკან დგას, ნამდვილად არ მაინტერესებს. არც ის არის ჩემი საქმე, ვინ ვის უტევს. სხვა შემთხვევაში ეს საინტერესო იქნებოდა, ახლა კი ამისთვის არ უნდა გვეცალოს. და თუ ამ ვითარებაში მართლა შიდა დაპირისპირებებს აქვს ადგილი, მაშინ ეს „ქართული ოცნებისთვის“ არის ძალიან დიდი მინუსი.

***– ნაციონალები ვარაუდობენ, რომ მალე სამთავრობო კარუსელი დატრიალდება. თქვენი აზრით, მოსალოდნელია?***

– აბა, რა გითხრათ. ნაციონალებს სულ კარუსელები და 19 აპრილის აქციები ელანდებათ. მათი აზრი დიდად არ მაინტერესებს. ქვეყანა თავზე დაგვაქციეს და ახლა ოპოზიციას იჩემებენ. ეგენი დროზე თუ არ შევაჩერეთ, საქართველოსგან აღარაფერს დატოვებენ.

***– ამის გაკეთება როგორ წარმოგიდგენიათ? მეოცნებეები იმით ამაყობენ, რომ ნაციონალებს სახე შეუნარჩუნეთო.***

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შუალედურ არჩევნებს. ამ არჩევნებში ჩვენი პარტიის ლიდერი კახა კუკავაც მონაწილეობს. კახას გამარჯვება სერიოზულ გავლენას იქონიებს პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე.

***– ვთქვათ და მოიგო კახა კუკავამ არჩევნები. რას გააკეთებს ერთი კაცი პარლამენტში?***

– კუკავა უკვე ძალაა. ის იქნება ნამდვილი ოპოზიცია. მე მჯერა, რომ მის გარშემო რამდენიმე დეპუტატიც გაერთიანდება. ისინი შექმნიან ოპოზიციურ პარტიას და ნაციონალებს ოპოზიციური ველიდან განდევნიან. ისინი ოპოზიციონერები კი არა, ქვეყნის დამაქცევრები არიან. რაც ადრე აღიარებს ამას „ქართული ოცნება“, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

---

შორენა მარსაგიშვილი

# თამარ კორძაია: „ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის არასდროს მიბრძოლია“

**ნაძალადევის რაიონში „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატის წინააღმდეგ შავი პიარი აგორდა. ის ერთსქესიანთა ქორწინების მხარდაჭერაში დაადანაშაულეს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს აჟიოტაჟი ყოფილი პოლიტპატიმრის გიორგი გაბედავას განცხადებას მოჰყვა. გაბედავას თქმით კი მას კორძაიასთვის ერთსქესიანთა მფარველობა არასდროს დაუბრალებია. ამბობს, რომ მედიამ მისი განცხადება არასწორად გაიგო.**

გაბედავას განმარტებით, მან განაცხადა, რომ ნაძალადევის რაიონში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თამარ კორძაია ერთსქესიან ქორწინებასთან დაკავშირებით ინტერნეტგამოკითხვებს ატარებს და აღნიშნული, შესაძლოა, დღის წესრიგში მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების წინაპირობა იყოს.

– თამარ კორძაია ერთსქესიან ქორწინებასთან დაკავშირებით ინტერნეტში გამოკითხვებს ატარებს, ეს ადამიანი პარლამენტში შესვლისას ამზადებს ნიადაგს. გუშინ არასწორად მოხდა ჩემი კომენტარის ინტერპრეტირება, მე ვთქვი რომ ეს ადამიანი ამზადებს ნიადაგს მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო ინიციატივის დასაყენებლად. საზოგადოების მოთხოვნაა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ნაძალადევის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული თამარ კორძაიას კანდიდატურა შეცვალოს და ეროვნული იდეოლოგიის მქონე სხვა კანდიდატი დაასახელოს. კორძაია წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას და ამიტომ ფინანსდება უცხოური გრანტებით, – აღნიშნა გაბედავამ.

ატეხილ აჟიოტაჟს თამარ კორძაიაც გამოეხმაურა. დეპუტატობის კანდიდატის თქმით, ის ყველანაირ დისკრიმინაციას გმობს, თუმცა ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის არასდროს უბრძოლია.

– მე ვაცნობიერებს ჩემს ვალდებულებას საზოგადოების წინაშე და მოვალედ ვთვლი დავგმო ჩემს წინააღმდეგ ბოლო დღეებში აგორებული კამპანია. ქართველმა ამომრჩეველმა უკვე დაამტკიცა ის, რომ იგი გმობს ძალადობრივ პოლიტიკას და არავის აპატიებს ადამიანის ღირსების შელახვას. მეამაყება, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა მთლიანად მივუძღვენი ადამიანის ღირსების დაცვას და კენჭს ვიყრი იმ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, რომლისათვისაც მთავარი ღირებულება და პრიორიტეტი ადამიანის ღირსებაა. მე ყოველთვის ვგმობდი ძალადობას, რომელიც ნებისმიერი ამ ნიშნის მიხედვით ადამიანების დისკრიმინაციის თანმდევი მოვლენაა, თუმცა არასდროს მიბრძოლია ერთსქესიანთა ქორწინების აღიარებისთვის, როგორც ამას ოპონენტები ამტკიცებენ. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს თემა პოლიტიკური მანიპულაციის და შავი პიარის იარაღად არის გამოყენებული, თუმცა დარწმუნებული, ვარ რომ ნაძალადევის რაიონის ამომრჩეველი ამ ანკესს არ წამოეგება. როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე და დედა, ყოველთვის ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ადამიანთა თანსწორობა და ღირსება აღარ იყოს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი, არამედ გახდეს რეალურად დაცული ინტერესი, – აცხადებს კორძაია.

2013, 8 აპრილი, №82

# რევაზ მიშველაძე: „სააკაშვილის წყალობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს“

## ევროპას ნაციონალების ტყუილების ჯერ კიდევ სჯერა

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ მწერალ რევაზ მიშველაძესთან:**

*– ბატონო რევაზ, როგორ აღიქვამთ მოვლენებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, რას მიიჩნევთ დადებით ნაბიჯად, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ გადადგა და რას – უარყოფითად?*

– არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ რიცხვს, რომელიც მოვლენებს ნაჩქარევად აფასებს, იმის მიხედვით იცვლის შეხედულებებს, თუ რა გაკეთდა პირადად მისთვის. 9 წელი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს დამხობა გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. სამართალდამცავების დაჩივლებაზე ხანდახან მეცინება, როდესაც ისინი ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს დანაშაული ვერ აღმოვუჩინეთო. თითიდან გამოწოვილი, მიკიბულ-მოკიბული დანაშაულების გამო იბარებენ საგამოძიებო ორგანოებში. ყბადაღებული დაკითხვებით პოლიტიკაში გაუცნობიერებელ ადამიანებს გულს უტეხენ. ამ მიმართულებით საზოგადოებაში გულგატეხილობა უკვე შესამჩნევია. ამაზე გული მწყდება. მიუხედავად ამისა, ერთი წამითაც ნუ გაიხარებენ ისინი, ვის კისერზეც წარმოუდგენელი დანაშაულია ქართული ეროვნული ფენომენის წინაშე. ამ დანაშაულების ჩამოთვლაც კი შეიძლება. თუმცა, უპირველესი მაინც, საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს სახსრებში მოშლაა. ქართული სოფლისა და ეკონომიკის, როგორც ფენომენის გაჩანაგება. რა კონკრეტული დანაშაულის არარსებობაზეა საუბარი, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოსვლის დღიდან ქართველი ერის დიდი ცოდვა აიკიდა. ის ხელისუფლება ხომ უკანონოდ მოვიდა. პარლამენტში ბანდა შემოცვივდა და ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი გაყარა. ეს დანაშაული იყო და არა უსისხლო რევოლუცია. შეთქმულთა ერთმა ჯგუფმა მჩატედ მოაზროვნე ადამიანები აიყოლია და პარლამენტში შეცვივდნენ და ხელისუფლება ძალით აიღეს. ძალაუფლების აღებიდან მეორე დღესვე წმენდა დაიწყო, ისეთი წმენდა, ახლა რომ ვერავის წარმოუდგენია. მაშინ, საჯარო სამსახურებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან ყველა ის ადამიანი დაითხოვეს, რომლებიც არ აზროვნებდნენ ისე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“. განა იმ ხელისუფლებამ არ დაამკვიდრა ნორმად, რომ 40 წლის ზევით ადამიანები ქუჩაში გამოეყარა და უსამსახუროდ, ულუკმაპუროდ დაეტოვებინა? საკაკაშვილმა ამერიკაში, კონგრესის წინაშე განაცხადა: მოვედით თუ არა მე და ჩემი რაზმი, გადავწყვიტეთ, უფროსი თაობისგან გავთავისუფლებულიყავითო. ეს არ არის კატობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული! ამ ყველაფერს მშვიდად უყურებდა ჩვენი მეგობარი დასავლეთი, ხმა არ ამოუღია. თუმცა, ხმა ამოიღო და მკვეთრადაც გააპროტესტა ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯები მოსვლისთანავე.

*– ევროპარლამენტარების გარკვეული ნაწილის საპროტესტო წერილმა თქვენში პროტესტი გამოიწვია?*

– ცხადია, პროტესტი გამოიწვია. ისევ რომ დავუბრუნდე მათ საქმიანობას, სახელმწიფო ბიუჯეტის თითქოსდა შევსება ყაჩაღური მეთოდებით დაიწყო. ამ ყაჩაღური მეთოდების შესახებ საყოველთაოდ ცნობილია. ადამიანებს ღამის საათებში იბარებდნენ და აიძულებდნენ, რომ მათი ქონება სახელმწიფოსთვის ეჩუქებინათ, სინამდვილეში კი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, როგორც ცნობილია, საჩივრები შესულია მთავარ პროკურატურაში ამ ფაქტებზე. უნდა აღვნიშნო, როგორ აჩანაგებდნენ სოფლის მეურნეობას. ატარებდნენ სულელურ ექსპერიმენტებს. ამერიკული, გენმოდიფიცირებული, არაგამრავლებადი სიმინდის ჩამოტანით ქართულ სოფელს დასცინოდნენ. ამას მოჰყვა ქართული მიწების დაუნდობლად განიავება. ეს მიწა რომელიმე ხელისუფლების ან ჩვენი თაობის საკუთრება კი არ არის, დავით აღმაშენებელმა ხმლით მოგვიზომა, ჩვენმა წინაპრებმა სისხლით შემოგვინახეს და ასევე უნდა გადავცეთ 25-ე საუკუნეში დაბადებულ ქართველს. საკაკაშვილის ხელისუფლებამ რა უფლებით გაყიდა ასე ხელაღებით ქართული მიწები? როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილის განკარგულებით ეს პროცესი შეჩერებულია, მაგრამ ეს ეროვნული ტრაგედიაა.

*– უნივერსიტეტთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ...*

– ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. 2006 წელს, საკაკაშვილმა უნივერსიტეტიდან 350 პროფესორი პოლიციის ძალით გამოყარა. დღეს იქიდან მხოლოდ 75 პროფესორია ცოცხალი. მეცნიერების მთელი თაობა დაიღუპა. ტრადიციულად უნივერსიტეტის რექტორი მეცნიერებაში, რომელსაც ის წარმოადგენდა, წარმატებული უნდა ყოფილიყო, საზოგადო მოღვაწეობით ცნობილი, განთქმული მეცნიერი. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ საკაკაშვილმა ამ ბოლო დროს უნივერსიტეტის რექტორად წერა-კითხვის მცირე მცოდნე ალექსანდრე კვიტაშვილი დანიშნა, რომელსაც ერთი დღეც კი არ უმუშავია ლექტორად, ლექცია არ წაუკითხავს. თითქმის იდენტური მდგომარეობაა ილიას უნივერსიტეტში. ამას მოჰყვა სამეცნიერო აკადემიის დაუთოვება, მიწასთან გასწორება. ამას მოჰყვა 2007 წლის 21 აგვისტოს მწერალთა კავშირის შენობიდან მწერლების ვანდალურად გამოყრა. გალაკტიონის მხრებით მოტანილი კარადა გამოაგდეს ქუჩაში, ქუჩაში დაუნდობლად მოისროლეს კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, რომელზეც მწერალთა კავშირში გამართულ ღონისძიებებზე მხოლოდ თავად ჯდებოდა. ჩვენი სახელოვანი მწერლების – გიორგი ლეონიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლადო ასათიანის, ნოდარ დუმბაძის პირადი ნივთები ქუჩაში უდიერად დაყარეს. ამით საკაკაშვილმა ომი გამოუცხადა ქართულ ხელოვნებას, მწერლობას. გააჩანაგა ქართული სკოლა და გამოგვიცხადა, რომ საჭირო არ არის სკოლაში დედა ენის შესწავლა. მთავარია 5 წლიდან ინგლისური ვასწავლოთო. არადა, ამ ასაკში ბავშვს ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ ააქვს თავისი დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან. მაინტერესებს, საიდან არიან ჩამოყვანილი ინგლისური ენის მასწავლებლები? ეს არის საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მოსპობის მცდელობის მთელი თაიგული.

*– ბატონო რევაზ, მწერალთა კავშირი დაგიბრუნეს?*

– ყაჩაღურად წართმეული მწერალთა სახლი დაგვიბრუნდა, თუმცა ჯერ ბოლომდე არა. 6 წელი თავშესაფარი არ გაგვაჩნდა. დღეს მაჩაბლის 13-ში ვართ და ამაში დარწმუნება ყველას შეუძლია.

*– ხშირად ამბობენ, რომ 1 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეებმა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აირჩია. თქვენ რა მოთხოვნა გაქვთ, როგორც ერთ ამომრჩეველს?*

– ეს ხელისუფლება, ჩემს ხელისუფლებად მიმაჩნია და თუ ხანდახან შენიშვნას მივცემ რომელიმე მინისტრს, ამას საწყენად ნუ მიიღებენ. ეს რჩევა უფროსი კაცის, წლებით დამძიმებული კაცის რჩევაა.

*– რა რჩევა გაქვთ?*

– მოველი, პარლამენტი მიიღებს კანონს ეროვნული რეკვიზიტის შესახებ, რასაც სიცოცხლე შევწირეთ ცხონებულმა გურამ შარაძემ და მე. ქართველ მოქალაქეს არც ერთ საბუთში არ უწერია, რომ ის ქართველია. მოველი, პარლამენტი მიიღებს კანონს ქართული ენის შესახებ. ასევე მოველი, პარლამენტი მიიღებს კანონს მიწის შესახებ. ასევე მოველი, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოასწორებს სააკაშვილისა და ლომაიას დანაშაულს და „ჩარეცხილ“, ჩაწიხლულ პროფესორებს, რომელთა ყოფნაც დაამშვენებდა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს, აღადგენს. მშვენიერია რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას დაბრუნება, რომელიც სასაცილო მიზეზით გაუშვეს. ვიმეორებ, ასევე მშვენიერი იქნებოდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან გაყრილი პროფესორების დაბრუნება. ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა და ისტორიის სანაგვეზე გადაეგდო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება. ეს მთელმა საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა. ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ 40 პროცენტმა „ნაცმოძრაობას“ მისცა ხმა. ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ 80 პროცენტმა აირჩია. ახლა რომ პარლამენტში ყელყელაობენ, უნდა გითხრათ, რომ პირველივე არჩევნებზე, ეს ადგილობრივი არჩევნები იქნება თუ სხვა, აუცილებლად გამოსწორდება. ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლამდეც ჰქონდა ქართველი ერის დიდი სიყვარული მოპოვებული. რომელი მისი ღირსეული საქმე დავასახელო ამის მაგალითად, მხოლოდ სამების ტაძარი და გადარჩენილი ქართული თეატრები საკმარისია.

*– 19 აპრილს „ნაციონალური მოძრაობა“ დიდ შეკრებას გვპირდება, ხომ არ ფიქრობთ, რომ დაბრუნებისთვის ძალებს სინჯავენ?*

– დემაგოგიის, ე.წ. მოგონილი რევოლუციების ოსტატები არიან. ამის დიდი ნიჭი აქვთ. საოცარია, მაგრამ დასავლეთს ამ დემაგოგიის სჯერა, ვერ წარმოუდგენიათ, რომ საერთაშორისო ტრიბუნაზე იდგეს კაცი, რომელიც პრეზიდენტი იყოს და ტყუოდეს. ფიქრობენ, ბავშვი ხომ არ არის, რომ მოიტყუოს, კარგა ხანია 40 გადასცდაო. ამიტომაა, რომ ბევრს გულუბრყვილოდ სჯერა. ზოგი პიარისა და ქრთამების ინერციით უჭერს მხარს. წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა სამართალდამცავებს ამ ადამიანებმა უფლება არ მისცეს, რომ სამართალს პური ეჭამა და დამნაშავეები დასჯილიყვნენ. საკმარისი იყო, რომ რამდენიმე პოლიტიკური გვამი დაებარებინა საგამოძიებო ორგანოს, რომ ერთი ამბავი აეტეხა დასავლეთს. მთელი ამ კამპანიის ნაწილია თითქოს, ახალ ხელისუფლებას არც ნატოს გაგონება უნდოდეს და არც ევროკავშირის. რეალურად პირველივე დღიდან ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ საქართველო არ გადაუხვევდა ევრო-ატლანტიკური კურსიდან. 19 აპრილი ამ დემაგოგიის გაგრძელება იქნება. მიტინგზე ადამიანები მივლენ და ეტყვით, ვინ. ისინი, ვინც ელოდა, რომ მეორე დღესვე ონკანს მოუშვებდა და რძის მდინარეები წამოვიდოდა, რომლებიც ელოდნენ, ერთი ხელის დაკვრით შეიცვლებოდა ყველაფერი და საამური ცხოვრება დამკვიდრდებოდა. ეს ხომ ბავშვური იღუზიაა და თუ ვინმეს ჰქონდა, დიდი შეცდომაა. 9 წლის განმავლობაში საკაკაშვილის ნამუშევრებალის 6 თვეში გამოსწორება რომ შეუძლებელია, ეს ჭკუადამჯდარმა კაცმა უნდა იცოდეს.

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ირაკლი ბ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, წყალტუბოში გამსახურდიას ქუჩაზე, ირაკლი ბ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხსასროლი იარაღი ერთი მჭიდით და 23 ცალი ვაზნით ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პირველი

## ბათუმში, შეიხის სახელობის ხეივანს, შესაძლოა, სახელი გადაერქვას და გმირთა ხეივანი ეწოდოს

ბათუმში, შეიხის სახელობის ხეივანს, შესაძლოა, სახელი გადაერქვას და გმირთა ხეივანი ეწოდოს.

ამის შესახებ გუშინ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი ჩავლეიშვილმა განაცხადა. მის მოსაზრებას ბათუმის მერი ჯემალ ანანიძეც იზიარებს. მათ გუშინ, საკრებულოს წევრებთან ერთად, შეიხის ნაჩუქარი პალმების პარალელურად, ხეივანში მაგნოლიისა და ნეკერჩხლის ხეები დარგეს.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის ბულვართან განაშენიანებულ ხეივანს შეიხის სახელი 3 წლის წინ მიენიჭა.

პირველი

## გიორგი ვაშაძე: „ამ ახალ ხელისუფლებას მეტი საქმე არ აქვს ახლა, რაბათზე რომ არ ისაუბროს?!“

საპარლამენტო უმცირესობის წევრს გიორგი ვაშაძეს აინტერესებს, „რა დროს რაბათის სახურავია?!“

„საკითხი არის ძალიან მარტივი და საერთოდ, მეცინება. ამ ახალ ხელისუფლებას მეტი საქმე არ აქვს ახლა, რაბათზე რომ არ ისაუბროს?! ასაშენებელია ცოტა, დასაქმებელია ცოტა?! აგერ ხალხს პრობლემები აქვს. მოახმაროს თავის ენერგია იმას, რომ დაპირებები შეასრულოს და ხალხს ყოველდღიური ცხოვრება შეუმსუბუქოს. რა დროს რაბათის სახურავია და რა დროს რაღაც 3 არქიტექტორის პრინციპული პოზიციაა, რომ გინდა თუ არა, ტყვიისფერი უნდა იყოს თუ თუთიის ფერი უნდა იყოს თუ რაღაცა ფერი უნდა იყოს სახურავი?!“, – განაცხადა ვაშაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა უარი განაცხადა, ხელი მოეწერა საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების მიერ მომზადებულ დოკუმენტზე, რომელიც ქართული და თურქული ძეგლების დაცვას შეეხება. ხელშეკრულების პროექტი ახალციხის ციხეში აგებულ მეჩეთსა და მედრესეზე 2012 წელს წარმოებული სარესტავრაციო სამუშაოებისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორებას: გუმბათის ფერის შეცვლა (გუმბათის არსებული ოქროსფერი საფარის ტყვიისფერით ჩანაცვლება), პირვანდელი რკინის ცხაურების დაბრუნება, ნაგებობების გარშემო სადრენაჟო სისტემის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში, მოსაპირკეთებელი მასალის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ამასთან, ქართული მხარე ვალდებულებას იღებს, მეჩეთის შიდა სივრციდან ჯვრის გამოსახულებიანი შუასაუკუნეების ქვის რელიეფები გამოიტანოს.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ეს თურქული მხარის მოთხოვნა, მითუმეტეს კატეგორიული, არ ყოფილა და რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ გუმბათი დარჩება ოქროსფერი, ხოლო ყველა სხვა საკითხი სპეციალისტებთან განხილვის თემა იქნება. კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის თქმით კი, „ეს საკითხი პრეზიდენტის გადასაწყვეტი არ არის“.

პირველი

## გიორგი კალანდაძე: „ირაკლი ალასანიამ პირადად მომთხოვა, „მეთანამშრომლა“ გამოძიებასთან“

გაერთიანებული შტაბის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი კალანდაძე ადასტურებს შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას იმ განცხადებას, რომლის მიხედვით, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მას კონკრეტული პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოსთხოვა. ამის შესახებ კალანდაძემ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოზიციაში“ განაცხადა.

„სამწუხაროდ, მინდა, გითხრათ, რომ ირაკლი ალასანიას „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ვიდრე მე შევიდოდი, გვერდზე ოთახში, სადაც „სიურპრიზი“ დამახვედრეს, ალასანიამ პირადად მითხრა, რომ „მეთანამშრომლა“ გამოძიებასთან, რაზეც მე პირდაპირ ვუთხარი, რომ ვითანამშრომლებდი და თუ რამე შეკითხვები ექნებოდათ, პასუხს გავცემდი. რაც იმას ნიშნავდა, რომ პირდაპირ გავიგე, თუ რა თანამშრომლობაზე საუბრობდა ის“, – განაცხადა კალანდაძემ.

ამასთან, ჟურნალისტის კითხვაზე იმის შესახებ, რომ ხომ არ გულისხმობდა ალასანია მხოლოდ ჩვეულებრივ თანამშრომლობას და არა კონკრეტული პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემას, კალანდაძემ აღნიშნა, რომ „ალასანიამ მას „თანამშრომლობა“ მოსთხოვა“.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ინფორმაციით, თავდაცვის მოქმედმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გენერალ კალანდაძეს უთხრა, რომ თუ კონკრეტული პირების წინააღმდეგ ჩვენებას მისცემდა, ბრალდებულის ნაცვლად, მოწმე იქნებოდა. ამის შესახებ ახალაიამ საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე განაცხადა.

„ყველაფერი, რაც თავდაცვის სამინისტროში ხდება, ერთ კონტექსტშია. თქვენ ნახეთ, რომ ყველა მოწმემ სრულიად გაუგებარი ჩვენებები მისცა. თავდაცვის მოქმედმა მინისტრმა პირდაპირ უთხრა გენერალ კალანდაძეს, რომ თუ ამ ადამიანების წინააღმდეგ ჩვენებას მისცემა, მოწმე იქნებოდა“, – განაცხადა ახალაიამ.

პირველი

# პარადოქსული საქართველო

როლანდ ხოჯანაშვილი

**დაბალიჭიტინგული და ,,ყინვაგამძლე"**

**ჩესპუბლიკური პარტია არის მიზეზი იმისა, რომ მინაცარტყდა აღასანია და ახლა მიზანში ღარიბაშვილია, – მითხრა ყველა დროის ოპოზიციონერმა მეგობარმა. აღასანიას პოლიტიკური-ადმინისტრაციული ამბიცია სასწრაფოდ ჩაახშვეს, ვიცეპრემიერობაც ჩამოართვეს და დატუქსული ბავშვის პოზიციაში ჩააყენეს. ჰამდენად სწორია ჩემი მეგობრის ახრი, ამას ოდესმე მაინც მოუწევს გამჟღავნება, ჰადგან პოლიტიკური ფაქტი აღრე თუ გვიან მზეუღრება მაინც.**

მიზეზის პოვნა გაწონასწორებული ალასანიასთვის არ გასჭირვებიათ, არ გაუჭირდებათ ღარიბაშვილისათვისაც, თუ ეს ვინმეს დასჭირდა. შეგახსენებთ, რომ ირაკლი აღასანიას წარსული ასაკთან შედარებით ზედმიწევნით მდიდარია და ამხელა გამოცდილების ადამიანს თუ ,,დაახურეს", ღარიბაშვილისათვისაც არ გაუჭირდებათ აქულევსის ქუსლის მოძებნა.

მთელი კვირის განმავლობაში აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის ვალერი თელიასა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაპირისპირება იყო მთავარი თემა.

ვალერიან თელიასა და საია-ს აჭარის ორგანიზაციის თანამშრომელს შორის ბათუმში, 28 მარტს, ინციდენტი მოხდა, გრიბოედოვის ქუჩაზე როინ ფარტენაძესა და ვალერიან თელიას შორის ფიზიკურ შეხლა-შემოხლასა და სიტყვიერ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ნამწვის გასროლა თუ ნასვამი არასამთავრობოელის კონფლიქტი მუნდირის მფლობელ თელიასთან საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ზნეობისა და კანონიერების სადარაჯოზე მდგომი საზოგადოება, რომელსაც მორალისტის მანტიის მხარ-ბეჭზე მოხურვა უყვარს, ახმაურდა: როდემდე უნდა იყოს საქართველოში გაბატონებული დაუსჯელობის სინდრომი?!

მოკლედ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა არასასიამოვნო ფაქტია. მართალია, წაიშალა ვიდეოჩანაწერი (ამის გამოც გაჩნდა კითხვის ნიშნები: შსს-ს თანამშრომელი რატომ შლის ან ეშლევინება მთავარი მამხილებელი მასალა?!), მაგრამ არსებობს ალტერნატიული მამტკიცებელი ინფორმაცია. საია თავის მხრივ მოითხოვს მოძალადე პოლიციელის სრული სიმკაცრით დასჯას. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც ბოლო რამდენი წელია, არ ყრის ფარ-ხმალს და რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდულ ფრთად მოიაზრება. საია-ს რესპუბლიკელებთან კავშირს იმითაც ხსნიან, რომ ერთხელ ერთერთმა ცნობილმა რესპუბლიკელმა დაახლოებით ასეთი რამ თქვა: ჩვენი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა.

საია გამორჩეული არასამთავრობო სექტორია, რომელიც ყველაზე მოთხოვნად პროფესიის ახალგაზრდებს აერთიანებს. კოჟორიძე, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, ადვილად უკან არ დაიხევს, რადგან როგორც თელიას მუნდირი მოიცავს ღირსების ელემენტებს, ასევე უფრთხილდება საია თავის რეპუტაციას.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:,,ვალერიან თელია მალე გამოვა საავადმყოფოდან და მუშაობას გააგრძელებს. რაც მოხდა, მოხდა." ახალგაზრდა პოლიციელი რატომ მოხვდა საავადმყოფოში?! იმიტომ, რომ მართვის მოწმობის გარეშე მართავდა ავტომობილს? იქნებ საზოგადოების ყურადღების ქვეშ ასე ფოკუსირებულად მოქცევა არის მთავარი მიზეზი?

საქართველოში ნაცნობ-მეგობრობასა და ამ ნიშნით სამსახურებში ,,გაჩითვას" ვინ მოშლის ადვილად?! აკი საპარლამენტო უმცირესობა წამდაუწუმ ნეპოტიზმსა და პროტექციონიზმს აყვედრის ივანიშვილის მთავრობას(იქნებ თავიანთი სანათესაოს წარჩინებული კარიერაც გაეხსენებინათ ბატონ ნაცმოელებს), ეს მომენტიც ხომ არ არის შსს მინისტრსა და თელიას შორის? კომუნისტების დროს ნეპოტიზმისა და პროტექციონიზმის დაფარვის ერთი ძალიან კარგი შესაფუთი საშუალება არსებობდა, მაღალჩინოსნები ერთმანეთს უცვლიდნენ ცოლეურის თუ თავიანთ სამეგობრო-სანათესაოს წარმომადგენლებს თანამდებობებზე და იყო საქმეც საათის მექანიზმივით აწყობილი.

სისხლის მიმოქცევის პრობლემებით ,,მედინაში" თელიას გადაყვანას ავი ენები იმით ხსნიან, რომ ბატონ ვალერიანს ნარკოტესტზე გასვლის ეშინია. სხვადასხვა სოციალური ქსელების (განსაკუთრებით ფეისბუქის) მომხმარებლები აცხადებენ, რომ თელიას ავადმყოფობა ფარსია და ის ნარკოტესტის თავიდან აცილებისთვის დაიდგა. რატომ უნდა ითქვას უარი ნარკოტესტირებაზე? ეჭვის გასაფანტავად ნამდვილად ღირს ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარება და კატეგორიული უარი თელიას მხრიდან იძლევა იმის საფუძველს, რომ ეჭვი კიდევ უფრო გამძაფრდეს. კიდევ უფრო მეტად ძლიერდება ეს დამოკიდებულება ღარიბაშვილის კომენტარით: ,,იყო საუბარი, თითქოს თელიამ რაღაც ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარა და ამის გამო შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა. ეს არის ტყუილი და სირცხვილი. ის მალე გამოვა საავადმყოფოდან და მუშაობას გააგრძელებს. ვალერიან თელია აჭარის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე 24 საათი ზრუნავს. რაც მოხდა, მოხდა. შესაძლოა, ბევრი რაღაც მეც არ მომეწონა, მაგრამ ის არის პოლიციელი, ატარებს მუნდირს, მაგრამ ის ჩვეულებრივი ადამიანია. თელია თითქმის მესამე მსოფლიო ომის ინიციატორად გამოაცხადეს, მაგრამ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი მისამართით სხვა პრეტენზიები არ არსებობს და მე ეს მახარებს",– აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მართლის დაცვაც კი საფრთხილოა საქართველოში, რადგან იმდენი ვინმეა დასაცავი ან დასასჯელი ამქვეყნად, რომ მოთვლა გაჭირდება.

მინდა შემოგთავაზოთ ერთი აჭარელის აზრი განსასჯელად: ,,ვალერი თელიაზე რომ გადაიჭერით ვენები, რატომ არ იღებთ ხმას პროკურატურაში მომჯდარ კრიმინალებზე?"

საქართველოში სისტემური ცვლილებებია გასატარებელი, როგორც ჩანს. თელია არც პირველი შემთხვევაა, არც ბოლო.

ისე, რა პარადოქსია, პოლიციის მაღალჩინოსანი საჭესთან მართვის მოწმობის გარეშე და ჯარიმის გადახდა ამის გამო! ასეთი რამ ალბათ მხოლოდ საქართველოში ხდება.

## მთავრობის კანცელარიასთან აბორტის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა „პატრიოტთა გაერთიანება" „ ეროვნული ფრონტი" და ვებ-გვერდმა „სიბრძნე.ჯი" მთავრობის კანცელარიასთან აბორტის საწინააღმდეგო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მთავრობის წევრებს მოუწოდებენ მოახდინონ საკანონმდებლო ცვლილებები და აკრძალონ აბორტის გაკეთება საქართველოში, რადგან, მათივე თქმით, დედის მუცელში ემბრიონის მოშორება ისეთივე მკვლელობაა, როგორიც ზრდასრული ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა.

აბორტის მოწინააღმდეგეთა აქციის პარალელურად მთავრობის კანცელარიასთან გოგონების ერთი ნაწილი შეიკრიბნენ, რომლებიც თვლიან, რომ აბორტის გაკეთება ქალის უფლებაა. მხოლოდ ქალი უნდა წყვეტდეს დაფეხმძიმდეს თუ არა, როდის დაფეხმძიმდეს, რამდენი შვილი ჰყავდეს. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისთის კი დედებს შესაბამისი სოციალური პირობები უნდა ჰქონდეთ შექმნილი.

მათ აქციაზე გამოტანილი ჰქონდათ პლაკატები წარწერით: „აბორტი მხოლოდ ქალის საქმეა"; „დედობა არჩევანია და არა მოვალეობა"; „სექსუალური განათლება ყველა სასწავლებელში".

მოგვიანებით აქციის მონაწილეებს შორის მოსაზრებების გამოთქმისას სიტყვიერი შეალპარაკებაც მოხდა, თუმცა სიტუაცია მალევე ადგილზე მობილიზებულმა რამდენიმე სამართალდამცავმა განმუხტა.

**მედიანიუსი**

## დავით უსუფაშვილი პოლონეთს ეწვევა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად 8-10 აპრილს ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკას ეწვევა.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ვარშავაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის, სენატის თავმჯდომარე ბოგდან ბორუსევიჩს და სეიმის თავმჯდომარე ევა კოპაჩის შეხვდება.

ასევე დაგეგმილია შეხვედრები საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებთან და პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფთან. შეხვედრები გაიმართება პოლონეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც.

ვარშავაში ვიზიტისას პარლამენტის თავმჯდომარე უცნობი ჯარისკაცის საფლავს გვირგვინით შეამკობს და პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის სტუდენტებსაც შეხვდება.

**მედიანიუსი**

# ბილაინის ოფისი რუსთაველთა ცხოვრებაში ნათელ ფერებსა და კომფორტს შეიტანს

*ჩუსთავში „ბილაინის" აბონენტთა მომსახურების ახალი ოფისი გაიხსნა. საქართველოში ყველაზე დინამიკურად მზარდი მობილური ოპერატორისთვის, ეს ქვეყნის მასშტაბით მეცამეტე ფილიალია. ახალი ოფისის გახსნა „ბილაინის" ტრადიციული აქციის – „ნათელი ფერები ბავშვებს" – ფარგლებში მოხდა. აქციის მონაწილე ყი ყველა ის პირი, ვინც 5 მაისის ჩათვლით, მობილურ ტელეფონს ან სასტარტო პაკეტს „ბილაინის" რუსთავის ახალ ოფისში შეიძენს.*

„ბილაინის" ახალი ოფისი რუსთავში 5 აპრილს გაიხსნა. ამიერიდან „ბილაინის" რუსთაველ აბონენტებს კომპანიის 8 ახალი თანამშრომელი უკვე ადგილზე მოემსახურება. ისინი მიიღებენ ყველა იმ სერვისს, რასაც „ბილაინი" თავის აბონენტებს სთავაზობს.

ახალი ოფისი ძველი, უკვე ტრადიციული სოციალური პასუხისმგებლობის აქციით – „ნათელი ფერები ბავშვებს" გაიხსნა. აქციის მონაწილე გახდება ყველა ის პირი, ვინც 5 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, მობილურ ტელეფონს ან სასტარტო პაკეტს „ბილაინის" რუსთავის ახალ ოფისში შეიძენს. შესაბამისად, კომპანიის ეს მომხმარებლები რუსთავში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს დაეხმარებიან.

„როგორც დაგპირდით, „ნათელი ფერები ბავშვებს" არ იყო ერთჯერადი ინიციატივა. პროექტი რამდენიმე წელია, რაც დავიწყეთ და მის ფარგლებში 10-ზე მეტ ბავშვთა სახლს დავეხმარეთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა და ასეთი ტიპის აქციებს მომავალშიც გავაგრძელებთ", – განაცხადა „ბილაინის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა.

როგორც კომპანიაში ამბობენ, მობილური ტელეფონის ღირებულებიდან 1 ლარი, ხოლო ნებისმიერი სასტარტო პაკეტიდან 50 თეთრი რუსთავში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს მოხმარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტს „ – ნათელი ფერები ბავშვებს" ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინი" უკვე მესამე წელია ახორციელებს და მის ფარგლებშიც დახმარება არაერთ სოციალურად დაუცველ ბავშვს გაეწია.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თეონა ბაღდავაძის თქმით, ბენეფიციარი ოჯახი ამჯერადაც ბავშვთა ზრუნვის სააგენტოსთან ერთად შეირჩა.

„ჩვენ აქტიურად ვთანამშრობლობთ ბავშვთა ზრუნვის სააგენტოსთან. შესაბამისად, ასეთი აქციის ფარგლებში ვარჩევთ ისეთ ოჯახს, ან საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენი დახმარება და ამ აქციის ფარგლებში ვეხმარებით. ამჯერად რუსთავში მდებარე მცირე ტიპის ბავშვთა სახლს დავეხმარებით, სადაც 8 ბავშვი ცხოვრობს.

„რაც შეეხება თავად ამ პროექტს, სოციალური პასუხისმგებლობის აქცია „ნათელი ფერები ბავშვებს" უკვე სამი წელია, ხორციელდება როგორც თბილისში, ისე სხვადასხვა რეგიონში. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენს მიერ წამოწყებული საქმე, რაც ამ შემთხვევაში ბავშვთა ზრუნვას გულისხმობს, ბოლომდე მივიყვანოთ და ერთჯერადი აქტივობებით არ შემოვიფარგლოთ", – განაცხადა თეონა ბაღდავაძემ.

„5 აპრილი რუსთაველებისთვის და ჩვენთვის, „ბილაინისთვის" მნიშვნელოვანი დღეა. რუსთავში გაიხსნა სრულფასოვანი მომსახურების ცენტრი და გაყიდვების ოფისი. ამ ახალი ოფისის გახსნაც უკვე ნაცნობი აქციით – „ნათელი ფერები ბავშვებს" მოხდა.

„ბილაინი" ქსელის გაფართოებას და საქართველოს მასშტაბით აბონენტთა მომსახურების ოფისების გახსნას სამომავლოდაც გეგმავს. რაც შეეხება სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიას – „ნათელი ფერები ბავშვებს", სტარტი 2011 წლის 6 ივლისს აიღო და დღემდე ამ აქციის ფარგლებში „ბილაინი" საკუთარ აბონენტებთან ერთად არაერთ სოციალურად დაუცველ ოჯახს დაეხმარა.

# ნოდარ ნათაძე: „საქართველოში ჩამოსახლებას მუსლიმანი სომხებიც ითხოვენ“

გულიკო ბალაძე

**ბოლო დროს გააქტიურდა ე.წ. თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების თემა. ნინა ხელისუფლებებმა ამასთან დაჯავშირებით ვალდებულება აიღეს. საარჩევნოს დროს სპეციალური კანონიც მიიღეს. ჰამდენადაც ვიცი, ე.წ. თურქი მესხების დაბრუნება ეტაპობრივად ხდებოდა. ახლა ევროკავშირში ასოციირებასთან დაჯავშირებით ეს საკითხი ჯერაც გააქტიურდა.**

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე აცხადებს, რომ საქართველომ ეს ვალდებულება შეასრულა და ევროკავშირის არ უნდა გვეშინოდეს.

– რა ვალდებულებაც საქართველომ იკისრა ევროკავშირთან ე.წ. თურქ მესხებთან დაკავშირებით, შესრულებულია. საქართველოს სახელმწიფომ ამ საკითხის რეალიზაციის ვადა ორჯერ გააგრძელა, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე. საქართველოში ჩამოსახლების მსურველები ცოტანი აღმოჩნდნენ. ამიტომ მე ევროკავშირის არ მეშინია, თუმცა, მეშინია იმის, რომ თურქეთი ამ თემასთან დაკავშირებით აქტიურობს. თურქეთს არავითარი უფლება არ აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლება მოითხოვოს, – განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

ნოდარ ნათაძე საუბრობს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ რამდენიმე იურიდიულ შეცდომაზე. კერძოდ:

– საქართველომ ცალმხრივად იკისრა ვალდებულება ევროპასთან, რომ შემოასახლოს მესხეთიდან 1944 წლის ნოემბერში, საბჭოთა კავშირის მიერ გასახლებული დაახლოებით 80 ათასი ადამიანის შთამომავლობა. ამ ხელშეკრულების ფაქტსა და შინაარსში მონაწილეობს ორი უანბანო იურიდიული შეცდომა. პირველი – არ არის განსაზღვრული, ვინ არის დამნაშავე. დამნაშავეა საბჭოთა კავშირი, რომელიც აღარ არსებობს, მაგრამ სამართალმემკვიდრე ჰყავს რუსეთის სახით. კრემლმა გადაწყვიტა ამ ხალხის გასახლება ისე, რომ არც ერთ დოკუმენტში, რომელიც ამას არეგულირებს, საქართველოს არც ერთი ხელისუფლის ხელმოწერა არ არის. მაშინ ცეკას მდივანი ჩარკვიანი იყო, ხოლო მთავრობის თავმჯდომარე – ბაქრაძე. არც ერთ მათგანს დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. საქართველოს თავისი მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების სახითაც კი არ მიუღია არანაირი მონაწილეობა ამ დანაშაულის ჩადენაში. დოკუმენტს ორი ქართველი აწერს ხელს, სტალინი და ბერია, მაგრამ ისინი არიან საბჭოთა კავშირის თანამდებობის პირები და არა საქართველოსი.

მეორე – არ არის განსაზღვრული, ვინ არის ამ დანაშაულში დაზარალებული. სინამდვილეში დაზარალებულია 80 ათასი ადამიანი – ზოგი აკენის ასაკისა, ზოგი – ბებერი, მაგრამ ეთნიკური ერთეული დაზარალებული არ არის. გასახლებულთაგან ძირითადად (დაახლოებით 80%) იყვნენ გათურქებული ქართველები – მაჰმადიანი მესხები, მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ თურქეთიდან შემოსულ მეჯოგე ქურთები და თარაქამები, რაც ნიშნავს მომთაბარე თურქს. თურქი ნიშნავს დასახლებულს, თარაქამა კი – მომთაბარეს. ქურთები და თარაქამები დაახლოებით 20%-ს შეადგენდნენ. როდესაც რუსეთმა ეს მხარე აითვისა და დაიპყრო, მაჰმადიან ქართველებს არ ენდობოდნენ და იქ პოლიციელებად მოიყვანეს აზერბაიჯანში იმ დროს მყოფი მომთაბარე მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებსაც მესხეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ.

ნოდარ ნათაძის თქმით, ჩადენილი დანაშაულისაგან მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაურდეთ მათ, ვინც არიან დაზარალებულები. დაზარალებულები არიან გასახლებული ადამიანები, მაგრამ არც ერთი ეთნიკური ერთეული არ არის დაზარალებული.

– ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები, შინაარსობრივად, სრულიად გადასული იყვნენ თურქულ ცნობიერებაზე. ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ „იერლის“, რაც თურქული სიტყვაა და ნიშნავს „ადგილობრივს“. მათი გამაერთიანებელი მხოლოდ ის იყო, რომ იყვნენ ადგილობრივები, მაგრამ, მათ გარდა, ადგილობრივები იყვნენ ქრისტიანებად დარჩენილი მესხებიც და სხვებიც. ასე რომ, დაზარალებული ეთნიკური ერთეული არ არსებობს.

დაზარალებული ეთნიკური ერთეული რომ იყოს, როგორც გასახლებული ქისტები და ჩეჩნები, მაშინ კაცობრიობის ვალი იქნებოდა მათი დაბრუნება, თუნდაც 500 და 1500 წელი გასულიყო, ვინც უნდა აღუდგინოს მათ ზარალი, ეს არის მათი გამსახლებელი რუსეთი, ხოლო ის ადამიანები, რომლებსაც უნდა აღუდგინონ ზარალი, არიან ისინი, ვისაც უშუალოდ შეეხო, მაგრამ მათ შთამომავლობას დაბრუნება არ ეკუთვნით. თუ გასახლებულ კაცს დარჩა სახლი და ის სახლი არსებობს, მისი მემკვიდრეა შვილიშვილი და მას უნდა დაუბრუნონ ქონება, თუმცა ეს არ ნიშნავს, იმ სახლში ცხოვრების უფლება მისცენ, – აცხადებს ნოდარ ნათაძე.

***– ბატონო ნოდარ, თუ მემკვიდრეს უფლება აქვს, მისი წინაპრის სახლი დაიბრუნოს, მაშინ ცხოვრების უფლება რატომ არ აქვს?***

– მე და თქვენ შეიძლება გვქონდეს სახლი საფრანგეთში, მაგრამ საფრანგეთი არ გვაძლევდეს ვიზას სახლში მისასვლელად. კაბალური ხელშეკრულება, რომელიც სააკაშვილმა დადო, შესრულდა. თქვეს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში განცხადებები შესულიყო შეუზღუდავად, მათ საკითხს განიხილავდნენ და დააბრუნებდნენ. განცხადება შემოვიდა ცოტა, ვადა კიდევ გააგრძელეს 1 წლით, კიდევ ცოტა შემოვიდა. ვადა ამოიწურა. საქართველომ თავისი კაბალური ხელშეკრულება შეასრულა.

***– ახლა სურს თურმე მათ ერთ ჯგუფს შემოსვლა, ოღონდ თურქული სკოლების გახსნასა და მეჩეთების აშენებას ითხოვენ. რამდენად დასაშვებია ასეთ მოთხოვნაზე დათანხმება?***

– რა თქმა უნდა, თურქიზაცია დაუშვებელია. თუ ადამიანი თავისი ენის ქვეყანაში არ ცხოვრობს, მას აქვს შეუვალი უფლება, მოსთხოვოს სახელმწიფოს და გახსნას სკოლა თავის ენაზე. წმინდა პედაგოგიურად, საკუთარ ენაზე სწავლა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სხვის ენაზე.

***– თუ ისინი ქართველები არიან, მათ თურქული სკოლები რატომ უნდა გავუხსნათ?***

– დედა ენა იმას ნიშნავს, რომელზეც მე ენა ამოვიდგი. ამიტომ უფრო კარგად ვფლობ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ენას, მაგრამ მეორე მხარეა კიდევ – ჩემი დედა ენაა ის ენა, რომელზეც მე ფსიქოლოგიურად ჩემს თავს ვაიგივებ. მე შეიძლება სადღაც სხვაგან გავიზარდო და ქართული არ ვიცოდე, მაგრამ მე მიყვარს ქართული წინდაწინ, როგორც ჩემი ენა, როგორც სიმბოლო ჩემი თავისთავადობისა. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამ ენას ძალიან მალე ვისწავლი. ამიტომ, თუ ისინი შემოვიდნენ საქართველოში ქართული ცნობიერებით, ენას ძალიან მცირე დროში ისწავლიან. არიან ოჯახები, რომლებიც ადრე შემოვასახლეთ და ენობრივად აბსოლუტურად სრულყოფილი ქართველები არიან. რაც შეეხება ადამიანურ მხარეს – გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ქართველი ინტელიგენტების ჯგუფი სანადიროდ იყო წასული ლენქორანში, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. მათ შორის ცნობილი კომპოზიტორი რეზო ლაღიძეც იმყოფებოდა. ლენქორანში ეს ჯგუფი შეხვდა იქ დასახლებულ მაჰმადიან ქართველებს, რომლებიც შუა აზიაში გაასახლეს, მაგრამ შემდეგ მოვიდნენ და აზერბაიჯანში დასახლდნენ, საქართველოსთან ახლოს. ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფს, რა თქმა უნდა, გული აუჩუყდა, როცა გაიგეს ეს საშინელი ტრაგედია. ლაღიძისაგან გაიგო ქართველმა საზოგადოებამ, რა ტანჯვაში არიან და როგორ არსებობენ.

***– ფერღანაში მომხდარი ჭლეტის შემდეგ არიან წამოსული?***

– ჭლეტა მერე მოხდა. ძალიან დიდი მასა ფერღანიდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩამოვიდა აზერბაიჯანში. მათთან გაიბა კავშირები და გაირკვა, რომ მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ცნობიერება. ზოგს გვარებიც ჰქონდა შენახული, დვალიძეები იყვნენ, ჩიტაძეები იყვნენ. მათგან რამდენიმე ათეული ოჯახი ჩამოსახლდა საქართველოში. ქართული ინტელიგენციის პატრიოტული ნაწილი ჩამოსახლებულებს თავს ევლებოდა. გურიასა და ჯიხაიშში დასახლდნენ. მშვენივრად შეეთვისნენ აქაურ სიტუაციას და საქართველოს ჩამოყალიბებულ მოქალაქეებად გადაიქცნენ. მათი ნაწილი ახლაც იქ ცხოვრობს. 80-იანი წლების დამლევსა და 90-იანი წლების დასაწყისში მოხდა პროვოკაციები და მათი ნაწილი იძულებული გახდა, წასულიყო.

***– რა პროვოკაციები მოეწყო?***

– ვიღაცამ უთხრა, თქვენ თურქები ხართ, გვღალატობთო და წავიდნენ. ფერღანაში საბჭოთა კავშირმა მოაწყო პირდაპირ ამ ადამიანების ჭლეტა, გენოციდი. ისინიც გამოიქცნენ იქიდან და უნდოდათ მასობრივად შემოსვლა საქართველოში. საბჭოთა პერიოდში ჩვენც ვმუშაობდით ამ ადამიანების მოზიდვის მიმართულებით. მე პირადად ვმუშაობდი ამ საკითხზე. ჩემი მეგობარი გულო ანანიაშვილი პირდაპირ გადაგებული იყო ამ საქმეზე. ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ რუსი არ გვაძლევდა უფლებას, გვეკითხა და გაგვერჩია, ვინ კარგი ქართველია და ვინ არ არის კარგი ქართველი, მაგრამ სააკაშვილის კაბალურმა ვალდებულებამაც იგივე გააკეთა – გარჩევა აკრძალა.

***– რაიმე კრიტერიუმები არ არის, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება დადგენა, ვინ არის და რას სურს, აღიარებს თუ არა თავს ქართველად, ქართული იცის თუ არა და სხვა?***

– არა, ეს მათ არ მოეთხოვებათ. პირველად კანონპროექტით შეეძლოთ, ყველა შთამომავალი თავიიანთი ოჯახებიანად შემოეყვანათ. მაგალითად, შეეძლოთ, ვინმე ბებრისთვის შეერთოთ თურქი ქვრივი 18 შვილით, ჩამოვიდოდა და იქნებოდნენ თანასწორი მოქალაქეები. შემდეგ კანონპროექტში პირობები შეიტანეს, მაგრამ მთავარი, მავალდებულებელი პირობა, რომ შენ ხელწერილი დადო, თანახმა ხარ, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე იყო და შეასრულო კონსტიტუციით გათვალისწინებული მოვალეობები, კანონიდან ამოიღეს. კანონი მიიღეს აბსოლუტურად მიუღებელი სახით. ამას ფსიქოლოგიური მომენტიც ახლავს. თუ მე მოვდივარ თქვენს ქვეყანაში და თქვენ მე მიმიღეთ და მიშვილეთ, როგორც გაჭირვებაში მყოფი ადამიანი, მე თქვენი მადლობელი ვარ, მაგრამ, თუ მე თქვენს ქვეყანაში დამასახლა მესამე ძალამ, რომელმაც თქვენ არ გკითხათ, მაშინ თქვენ, ადგილობრივი მოსახლე, ჩემთვის (მოსულისთვის), მხოლოდ და მხოლოდ კონკურენტი და მტერი ხარ. მე თქვენი მადლობელი არ ვარ. მე ვარ მადლობელი იმ ძალის, რომელმაც თქვენს მიწაზე დამასახლა. ახლა სწორედ ამ წესით უნდათ ამ ადამიანების ჩამოსახლება. ახლა ჩვენგან მათ ჩამოსახლებას ჩვენი მტრები უკანონოდ მოითხოვენ. ეს მიუღებელია. ქართველი ერი დაინტერესებულია, რომ არც ერთი მილიგრამი ქართული სისხლისა არ გაითქვიფოს სხვაში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ თქვენ გამომადგებით, როგორც მოქალაქე (იქ 400 ათასი სულია). ეს არის ძირითადი. ახლა მთლიანად ჩვენი საქმე და, შესაბამისად, ჩვენი ბედი, საქართველო გადარჩება თუ ვერა, დამოკიდებულია ჩვენი ერის ცნობიერების ხარისხზე, მზაობაზე, რომ ჩვენი ბედი ჩვენ თვითონ ვმართოთ.

ერთი მომენტიც არის – მაჰმადიანი მესხების გასახლება მოხდა 1944 წლის 14-15 ნოემბრის ღამეს. იმავე 1944 წლის დეკემბერში ანალოგიური გასახლება მაჰმადიანი სომხებისა (დაახლოებით იმის ნახევარი რაოდენობა, რამდენიც ჩვენგან გაასახლეს), მოხდა სომხეთიდან. ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებულია მოგონებები იმ გასახლების მონაწილის, ქართველი ლეიტენანტის, რომელიც განგაშით წამოაგდეს ღამით და დააყენეს რაღაც ხაზის გადასაკეტად. მისი მოგონებებია დაწერილი, როგორ განხორციელდა აღნიშნული გასახლება. მე ვეხვეწე გუმბარიძეს, მოეპოვებინა ამის ოფიციალური ცნობები, მაგრამ არ გააკეთა, შეიძლება, ვერ გააკეთა.

***– დღეს უშიშროების არქივები ხომ გახსნილია.***

– ის დოკუმენტები ჩვენს არქივებში არ არის. რუსეთი კი არ გამოგიჩენს. ჩვენი არქივები რუსეთშია წაღებული. კაგებეს შენობაში ხანძრის სიმულაცია მოახდინეს, რომ კაგებეს არქივის წაღება გადაეფარათ. როგორც მესხეთიდან გასახლებულებს უნდოდათ საქართველოში მთლიანად, მასობრივად ჩამოსახლება, ასევე სომხეთიდან გასახლებულებს უნდოდათ სომხეთში ჩასახლება. სომხებისაგან კატეგორიული უარი მიიღეს, მჟავანაძისაგან კი მიიღეს მიკიბულ-მოკიბული უარი. ამიტომ ახლა სომხეთიდან გასახლებულები მიტმასნილი არიან ჩვენგან გასახლებულებზე და მათ ერთად უნდათ საქართველოში ჩამოსახლება, როგორც ვითომ საქართველოდან გადასახლებულებს. არავითარი კრიტერიუმი მათი გარჩევისა ჩვენი სახელმწიფოს ხელში არ არის.

***– მაშინ კანონი უნდა შეიცვალოს და უნდა იყოს იმის საშუალება, დადგინდეს, არის თუ არა ჩვენგან გასახლებული, აღიარებს თუ არა ის თავს საქართველოს მოქალაქედ, აღიარებს თუ არა თავს ქართველად. თუ არიან ასეთები, მაშინ უნდა დავაბრუნოთ. თუ არ არიან ასეთები, მაშინ რატომ ვართ ვალდებული, ისინი დავაბრუნოთ საქართველოში და დავასახლოთ?***

– დიახ, მაგრამ სანამ ის შევიდოდეს მოქმედებაში, რასაც თქვენ ამბობთ, მანამ უნდა იყოს დადგენილი, რომ მათი ჩამოსახლება ჩვენი ნებაა. მინდა ჩამოგასახლებ, მინდა – არა. თუ დავინახე, რომ ჩემი ქვეყნის მოქალაქედ გამომადგები, დიდი სიხარულითა და სიამოვნებით ჩამოგასახლებ.

***– ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება როგორია ამ საკითხის მიმართ?***

– ეს არის ერთ-ერთი პარამეტრი იმ განზომილებისა და შეფასებისა, რომელსაც გონებრივი სიმწიფე ჰქვია. ჩვენს საზოგადოებაში, ქართველებში, ზოგ თემასთან დაკავშირებით ეს მიღწეულია, ზოგ თემაზე არ არის მიღწეული. მინდა გაგიზიაროთ შთაბეჭდილება და გითხრათ, რომ ამას წინათ მე მქონდა საუბარი ცოტნე გამსახურდიასთან. ცოტნე გამსახურდია ახალგაზრდა კაცია, ქართველი. ის საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მას უზარმაზარი ტანჯვა აქვს გამოვლილი. ამ ტანჯვის მონაწილეობითა (ფსიქოლოგიურად ეს უზარმაზარი ფაქტორია) და პატრიოტული ცნობიერებით ის ჩვენში ყველაზე პერსპექტიულია ანუ მას აქვს ეროვნული სიამაყისა და ეროვნული ვალდებულების შეგნება ყოველგვარი დიდგულობის გარეშე. ეს ძალიან რთულია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვებზე ბევრი რამით უკეთესები ვართ, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ უნდა გვქონდეს სრულყოფილად ჩამოყალიბებული თანასწორობის იდეოლოგია.

## წელს 15 ჟურნალისტი დახოცეს

2013 წლის განმავლობაში ჟურნალისტურ საქმიანობას უკვე 15 რეპორტიორი შეეწირა. ამის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაცია, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ავრცელებს.

2013 წლის 1 იანვრიდან მარტის თვის ჩათვლით ხუთი ჟურნალისტი პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს პაკისტანში მოკლეს, 5 – სირიაში, 2– ბრაზილიაში, 1 – მექსიკაში, 1 – სომალიში და 1 – პარაგვაიში.

გარდა ამისა, პოლიტიკური მოტივებით მსოფლიოს მასშტაბით 180 ჟურნალისტი დააკავეს.

ჟურნალისტთა უფლებების დამცველი ზემოხსენებული ორგანიზაცია იმ მსოფლიო ლიდერების სიასაც აქვეყნებს, რომლებიც თავის ქვეყნებში მედიის მუშაობას ხელს უშლიან, მათ შორის არიან, რუსეთის პირველი პირი ვლადიმირ პუტინი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ყაზახეთის ლიდერი ნურსულთან ნაზარბაევი, ჩეჩნეთის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, სირიის ლიდერი ბაშარ ასადი, ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი, კუბის ლიდერი რაულ კასტრო, ზიმბაბვეს მმართველი რობერტ მუგაბე, ჩრდილოკორეას ლიდერი კიმ იონგ უნი და სხვა.

მედიანიუსი

## აღვოკატთა ასოციაცია უფასო იურიდიული სამსახურის სახელმწიფო უწყებისთვის დაქვემდებარების წინააღმდეგია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს გააცნობს. შეხვედრა ხვალ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში გაიმართება.

საქართველოს ადვოკატთ ასოციაციის თავმჯდომარის მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, უფასო იურიდიული სამსახური არ უნდა ექვემდებარებოდეს არც ერთ სახელმწიფო უწყებას და ანგარიშვალდებული უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე; იურიდიული დახმარების საბჭო შედგება ცხრა წევრისგან, რომელთაგან შვიდ წევრს შეარჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არმასრულებელი საბჭო, ერთ წევრს წარადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ერთ წევრს წარადგენს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან; უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი ვალდებული უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ უფასო იურიდიული სამსახური არ იქნება ანგარიშვალდებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წინაშე, წარმოდგენილი ცვლილებები დაღუპავს ადვოკატის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის განვითარებას და საგრძნობლად დაასუსტებს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობას, შედეგად დაზარალდება საზოგადოება, რომელიც ვერ იქნება სათანადოდ დაცული.

მედიანიუსი

## გია ვოლსკი: „აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი ექსპერტთა საბჭომ უნდა შეარჩიოს“

კონფლიქტოლოგ გია ვოლსკის განცხადებით, სასურველია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატი ოფიციალურად მოწვეულმა ექსპერტთა ჯგუფმა შეარჩიოს. როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ექსპერტმა აღნიშნა, კონსტიტუცია ისეა შედგენილი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის შერჩევაში არა თუ ცენტრალური მთავრობა და პარლამენტი, პრემიერ-მინისტრიც ვერ ჩაერევა. მისი თქმით, გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს.

„მე ვფიქრობ, კანდიდატის შერჩევა სერიოზული ანალიზის და მსჯელობის შედეგად უნდა მოხდეს. ექსპერტებმა უნდა გაანალიზონ თითოეული კანდიდატის დოსიე, წარსული საქმიანობა, ეფექტურობა, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი, როგორ ხედავან მომავალს და რა პროგრამა აქვთ ა.შ.“,– განუცხადა „მედიანიუსს“ გია ვოლსკმა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ყოფილმა თავმჯდომარემ გია ბარამია თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა..

მედიანიუსი

## „ივანიშვილი ყველა სფეროს გაკონტროლებას ცდილობს“

ევროპის სახალხო პარტიის პოლონელი წევრები, ევროპარლამენტარები პაველ ზელევსკი და კშიშტოფ ლიშეკი საქართველოს პარლამენტში საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების საკითხს ეხმაურებიან.

როგორც ლიშეკი სოციალურ ქსელ ტვიტერში წერს, კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ყველა სფეროს გაკონტროლებას ცდილობენ. ზელევსკის განცხადებით კი, ახლა ივანიშვილს შეუძლია, რომ მოსამართლეები დისკრეციული წესით შეცვალოს და ოპოზიციის წარმომადგენლების სასამართლო პროცესები ისე ჩაატაროს.

**მედიანიუსი**

## საქართველოს სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

საქართველოს სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიროსლავ ლაიჩეკი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. ვიზიტით გათვალისწინებული ღონისძიებები 8-9 აპრილს გაიმართება.

8 აპრილს იგი გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას. შემდეგ თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ერთად სლოვაკეთისა და საქართველოს ბიზნესფორუმს გახსნის. ხვალვე მინისტრები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში“.

დღის მეორე ნახევარში იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს,

ევროპულ და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილს, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე მანანა კობახიძეს შეხვდება.

9 აპრილს სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს და მისიის ხელმძღვანელ ანდრეი ტიშკევიჩს შეხვდება.

მიროსლავ ლაიჩეკი საქართველოს დღეს ესტუმრება.

**მედიანიუსი**

## ალექსი პეტრიაშვილის მოადგილედ მარიამ რაქვიაშვილი დაინიშნა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურები ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ მარიამ რაქვიაშვილი დაინიშნა.

ამის შესახებ თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

მისი შეფასებით, მარიამ რაქვიაშვილი გამოცდილი დიპლომატია. იგი წლების განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. ახალი მოადგილე თამარ ბერუჩაშვილს შეცვლის, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

როგორც ალექსი პეტრიაშვილმა ხუმრობით შენიშნა, მისმა აპარატმა მარიამ რაქვიაშვილის დანიშვნასთან დაკავშირებით „პრეზიდენტი არ დატვირთა. არ არის აუცილებელი, რომ მან ამაზე ბევრი იფიქროს“, – დასძინა ალექსი პეტრიაშვილმა.

**მედიანიუსი**

# თამარ ცინცაბაძე: „ქართველები სამკურნალოდ უცხოეთში არ უნდა მიდიოდნენ“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ თამარ ცინცაბაძესთან

***– ნაციონალური ხელისუფლების მიერ რეკლამირებული და ინიცირებული ასი საავადმყოფოს პროექტმა კრახი განიცადა. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზები?***

– უმთავრესი მიზეზი, რამაც განაპირობა ის, რომ პროექტმა – ასი ახალი საავადმყოფო სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, გახლავთ გაუაზრებელი, ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რაც სათანადო კვლევებსა და გათვლებზე არ იყო დაფუძნებული. წინა ხელისუფლებისათვის საერთოდ დამახასიათებელი იყო ნაუცბათევი გადაწყვეტილებების მიღება, აჩქარებული ტემპები, რაც ქმნიდა საქმიანი გარემოს შთაბეჭდილებას, თუმცა თუ შედეგით ვიმსჯელებთ, უმრავლეს შემთხვევაში ის სავალალო იყო – განახლებული გზები, რომლებიც ძალიან სწრაფად ისევ გასანახლებელია, აშენებული შენობები, რომლებიც უმნიშვნელო მეტეოროლოგიური ცვალებადობის შემდეგ თითქმის ახლიდან ასაშენებელია და ე. წ. ასი ახალი საავადმყოფოც, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას ხარისხიან, ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებაზე. დღევანდელ ხელისუფლებას დასჭირდება დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ შედეგები გამოსწორდეს. ახლად აშენებული სტაციონარების დიდი ნაწილისთვის მოსაძებნია სხვა სახის დატვირთვა. ხოლო რაც შეეხება სრულყოფილ სტაციონარულ მომსახურებას, ამ საკითხის მოგვარება დამატებით ძალისხმევასა და ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს.

***– თქვით, რომ სიჩქარემ ბევრი საქმე გააფუჭა?***

– რა თქმა უნდა. როგორც უკვე აღვნიშნე, წინა ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი იყო სწრაფი ტემპი. ამ ფონზე დღევანდელ ხელისუფლებაზე რჩება ერთგვარი უმოქმედობის შთაბეჭდილება. დემოკრატიულო მოძრაობა ნამდვილად არ მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ ნაჩქარევად მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ არის ისეთი სფეროები, სადაც ხანგრძლივად დაყოვნებამ შესაძლოა სავალალო შედეგი გამოიღოს. ასეთ სფეროთა რიგს განეკუთვნება ჯანდაცვა. იმდენად მძიმე მდგომარეობაა ჯანდაცვის სისტემაში, მოსახლეობის იმდენად დიდი რაოდენობა წლების მანძილზე მოკლებული იყო ელემენტარულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას, რომ დღეს, როცა, როგორც იქნა, ბიუჯეტში ჯანდაცვისთვის მნიშვნელოვანი მოცულობის თანხაა გამოყოფილი შეპირებული საყოველთაო ჯერ დაზღვევის, შემდეგ ჯანდაცვის ამოქმედება დროში ასე არ უნდა გაწელილიყო. დემოკრატიული მოძრაობა ემხრობა მოსაზრებას „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ასჯერ გაზომვას ასრულებს პროფესიონალი, ეს გაცილებით სწრაფად ხდება და შედეგიც მართებულია, მაშინ, როცა არაპროფესიონალი ამას ანდომებს დიდ დროს და შედეგიც შესაძლოა სწორი არ იყოს. დღევანდელ ხელისუფლებაში რომ პროფესიონალთა ნაკლებობაა, ამას ისინი თავად აღიარებენ. კარგი იქნება, თუ არ გაიმეორებენ წინა ხელისუფლების შეცდომას და მათთვის დასაქმებისა თუ კონსულტაციის მიღებისას უმთავრესი იქნება პროფესიონალიზმი, გამოცდილება და არა პარტიული კუთვნილება და ახლობლობა. რადგან პროფესიონალიზმს შევეხე, აუცილებლად მინდა გავამახვილო ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სათანადო კადრების მომზადება ჯანდაცვის სფეროში. ჩვენ გვექნება შესაბამისი შენობები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი და არ გვეყოლება კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთან მისვლისაც არ შეეშინდება ავადმყოფს. განათლების სისტემას სამედიცინო სფეროში დღესვე თუ არ მიექცა სათანადო ყურადღება, ხვალ გვიან იქნება.

***– თქვენ გულისხმობთ ადრინდელ პერიოდს ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, როცა დიდი მოთხოვნილება იყო აბიტურიენტებისა სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარებისა, მაგრამ ხარისხს არ აკმყოფილებდნენ?***

– ვგულისხმობ ადრინდელ პერიოდსაც, გუშინდელ პერიოდსაც და დღევანდელსაც. უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ბაზისურ, ისე უწყვეტ განათლებას. არა ერთი და ორი წელია საჭირო იმისათვის, რომ მივიღოთ კვალიფიციური ექიმი, ისეთი მედიკოსი, რომელთან მისვლა ადამიანს არ შეეშინდება. დღეს ყველა სფეროში ძალიან სწრაფად ხდება სიახლის შემოსვლა, ცვლილება. ეს დაჩქარება განსაკუთრებით თვალშისაცემია მედიცინაში. ამიტომ მედიცინის მუშაკს უნდა ჰქონდეს როგორც მაღალი დონის საბაზისო განათლების მიღების საშუალება, ისე მუდმივად უნდა მიუწვდებოდეს ხელი დარგში თანამედროვე მიღწევებზე. ამისთვის დღესვე უნდა იქნეს მიღებული ზომები, უკვე დაგვიანებულიც კი არის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული არ არის, ჩვენ ამას დავარქმევთ რეფორმას, ცვლილებას თუ რეორგანიზაციას, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გაკეთდეს ის, რომ მივიღოთ საუკეთესო სპეციალისტი, პროფესიონალი. წინა ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით არავითარი ნაბიჯები არ გადადგმულა. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები ერთად უნდა მოქმედებდნენ. აუცილებელია როგორც ხანგრძლივ დროზე გათვლილი პროგრამების შემუშავება, ისე იმ ღონისძიებების გატარება, რაც შედარებით მოკლე პერიოდში დაგვაძლევინებს არსებულ ხარვეზს.

***– ჯანდაცვაში ახალ პროგრამაზე მაინტერესებს თქვენი აზრი.***

– მისასალმებელია ახალი ხელისუფლების სურვილი, რომ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს და ქვეყნის მოსახლეობას სრულად ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე. საყოველთაო ჯანდაცვა, ჯერჯერობით მინიმალური მოცულობითაა წარმოდგენილი და ვფიქრობ, მისი ამოქმედება უსაფუძვლოდ გაიჭიმა დროში. პირველ ეტაპს, რომელიც მარტის დასაწყისში ამოქმედდა, როგორც ხუთლარიან დაზღვევას, ისე მოიხსენიებდნენ კარგა ხნის მანძილზე. განსხვავება უდავოდ არის, თუმცა სამედიცინო მომსახურების მოცულობის მხრივ ის იმეორებს ე. წ. 5-ლარიან დაზღვევას. რა თქმა უნდა, ერთგვარ იმედგაცრუებას იწვევს მოსახლეობაში, რადგან მოლოდინი იყო გაცილებით მეტზე. მოსახლეობა ელოდა არა ძველ გალამაზებულ პროგრამას, არამედ სრულიად ახალს, ისეთს, რომელიც რეალურად მისცემს საშუალებას, იზრუნოს ჯანმრთელობაზე და ამავდროულად გაწეული ხარჯების გამო არ გაღარიბდეს. ვიმედოვნებ, ამ მხრივ მდგომარეობა ზაფხულში გამოსწორდება და მოსახლეობა მიიღებს ნამდვილად საგრძნობ შვებას. არსებულ მინიმალურ პაკეტშიც არის ხარვეზები. იმედი მაქვს, რომ პროგრამის ამოქმედების შემდეგ იქნება იმის საშუალება, რომ ეს ხარვეზები აღმოიფხვრას.

***– თანადაფინანსების საქმის კურსში ხართ, რას ნიშნავს 90%-იანი დაფინანსება და დანარჩენი კი მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაიხადოს, ამ დროს მას ამის საშუალებაც არა აქვს?***

– თანადაფინანსების საკითხი მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაში ძალიან მწვავედ აღიქმება. ეს განპირობებულია მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. დღეს მოსახლეობის 40% თავს უმწეოდ თვლის, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან აღიარებასა და შესაბამის დახმარებასა თუ შეღავათებს ნაწილი ღებულობს. საკვების ფულიც არა აქვთ, არათუ სამედიცინო მომსახურების ხარჯების თუნდაც მცირედი ნაწილის დაფარვის. როგორც ხელისუფლება აღნიშნავს, ამ და ისეთი სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვის საკითხს, რომელიც არ შედის სახელმწიფო პროგრამაში, არეგულირებს რეფერალური მომსახურების პროგრამის ერთერთი კომპონენტი. ამ კომპონენტის ფარგლებში ფუნქციონირებს სპეციალური კომისია და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე იღებს სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება/არდაფინანსებაზე გადაწყვეტილებას. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამ პროგრამის არსებობის შესახებ არ იცის. კომისიის გადაწყვეტილებაც, რაოდენ ობიექტურ კრიტერიუმებს არ უნდა იყენებდეს, სუბიექტივიზმს ვერ გამორიცხავს. ჩნდება უსამართლობის საფუძვლები. როდესაც ვსაუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე, ვგულისხმობთ სამართლიანობას ყველა სფეროში და მათ შორის ჯანდაცვის სისტემაშიც. სამართლიანი იქნება თუ გამოინახება საშუალება და შეიცვლება სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების ეს პრინციპი. რადგან სამართლიანობის აღდგენაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შემიძლია არ შევეხო პოლიტპატიმართა საკითხს. ნამდვილად უდიდესი საქმე გაკეთდა, როდესაც ასობით უდანაშაულო ადამიანი განთავისუფლდა საპყრობილეებიდან, მაგრამ ამ ადამიანთა დიდ უმრავლესობას წინა ხელისუფლების უკანონო ქმედებების შედეგად შეერყა ჯანმრთელობა, საჭიროებს მკურნალობასა და რეაბილიტაციას. უმრავლეს შემთხვევაში არსებული ჯანდაცვის პროგრამები არ ითვალისწინებს შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევას და ხარჯების დაფარვას.

***– როგორ ფიქრობთ, ახალი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედება კერძო სადაზღვევო სისტემას პრობლემებს შეუქმნის?***

– მე არ ვიცი, ახალი პროგრამის მართვის რა მეთოდს გამოიყენებს ხელისუფლება, ამიტომ მიჭირს ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირება. არსებობს გზები, რომ ყველაფერი უმარტივესად მოწესრიგდეს, ვიმედოვნებ, რომ ამ გამოსავალს ნამდვილად დაინახავს დღევანდელი ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა არის იმის საშუალება, რომ გამოვიყენოთ სხვა ქვეყნის გამოცდილება, მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის რეალობაც. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან იმაზე აპელირება, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ არის დასაქმების პროგრამა უხერხულია. რა თქმა უნდა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ არის დასაქმების პროგრამა, მაგრამ არც შესაბამისი დარგის მინისტრი არ არის ერთი ჯანდაცვის პროგრამის მენეჯერი. როცა ერთ საქმეს ვაკეთებთ, იქ პარალელურად სხვა საქმე არ უნდა გაფუჭდეს.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, დადგება ის დრო საქართველოში, როცა ადამიანები სამკურნალოდ უცხოეთში აღარ წავლენ და აქ მიიღებენ ხარისხიან მკურნალობას?***

– დადგომით აუცილებლად დადგება. საქმე ისაა, როდის. თუ ეს დრო ვერ მოიყვანა დღევანდელმა ხელისუფლებამ, მას მოვიყვანთ ჩვენ – დემოკრატიული მოძრაობა.

## მეუფე იაკობი: „გოლგოთაზე ჩვენი ჯვარი თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვზიდოთ“

გუშინ მართლმადიდებლური ეკლესია ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულს აღნიშნავდა.

როგორც გუშინდელ ქადაგებაზე მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსმა, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა აღნიშნა, ხარებისა და ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაული იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

მან ჯვრის თაყვანისცემის დღესასწაულის მნიშვნელობაზე იქადაგა და აღნიშნა, რომ ეს არ არის მარტო ჯვართან მისვლა და ამბორი.

,,გოლგოთაზე ჩვენი ჯვარი თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვზიდოთ. ჩვენი გოლგოთა ყველას უნდა გვქონდეს და აღდგომის სიხარულს ველოდებოდეთ. მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა გაგვითენოს უფალმა. ღმერთმა ინებოს ჩვენი ერის გაერთიანება და ღმერთმა ინებოს, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ იმაზე იფიქროს, რომ ადიდოს უფალი და ქვეყანა“, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

**მედიანიუსი**

## თბილისში, თურქეთის საელჩოსთან, სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნით აქცია გაიმართება

24 აპრილს თბილისში, თურქეთის საელჩოსთან, სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნით აქცია გაიმართება.

დემონსტრაციის ორგანიზატორი „საქართველოში სომეხთა გაერთიანებაა“.

„ჩვენ გვახსოვს და ვიბრძვით სამართლიანობისათვის. ეს იქნება მშვიდობიანი მანიფესტაცია სომეხთა გენოციდის აღიარების მოთხოვნით“, – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.

**მედიანიუსი**

## მეუფე იაკობი: „ის მოსიყვარულე გული, რომელიც ქალებს აქვთ, მამაკაცებსაც ჰქონოდეთ“

მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსმა, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა გუშინდელ წირვაზე ქალის სიძლიერეზე იქადაგა.

მან გუშინდელი წირვის დასრულების შემდეგ მრევლს ხარების დღესასწაული მიულოცა და მილოცვა პატრიარქისგანაც გადასცა.

როგორც მან აღნიშნა, ეს დღესასწაული ქალებისთვის განსაკუთრებულია, რადგან მათ ღვთისმშობლის სახით მისაბაძი მაგალითი ჰყავთ.

,,კაცობრიობამ ქალის არასწორი სახე შექმნა. მარტო გარეგნულ თვისებებზე გადაიტანა ყურადღება. დედა ღვთისმშობლის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ღამაზია ქალი, რომელიც არის ერთგული, მშვიდი, მდაბალი და გონიერი, რწმენაში გაძლიერებული, სულიერად მტკიცე. ყველა ქალის დანიშნულება ხომ დედობაა. ქალი არანაკლები გონიერებით დააჯილოვა ღმერთმა, ვიდრე მამაკაცი. ამიტომ ფიზიკური სისუსტე შეივსო იმით, რომ მას აქვს მოსიყვარულე გული, მზად არის ყოველთვის, მსხვერპლად შეეწიროს. ეს იქნება ოჯახის წევრი, მეუღლე თუ ქვეყანა“, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მან ყველა ქალს განსაკუთრებით მიულოცა ეს დღესასწაული და მამაკაცებს მოუწოდა, დაუკვირდნენ რას გვასწავლის სახარება, თითოეული დღესასწაული და როგორი პატივი უნდა სცენ ქალებს.

,,ყველამ დიდი პატივი უნდა ვცეთ ბებიებს, დიდედებს, დებს, შვილებს. თითოეულ მათგანში დიდი რამ არის. ისინი ჭკუით აღსავსენი არიან და ეს უნდა მოახმარონ ოჯახის გაძლიერებას, მეუღლესთან ურთიერთობას, ქვეყანას. ის მოსიყვარულე გული, რომელიც ქალებს აქვთ, მამაკაცებსაც ჰქონოდეთ, ამას ვინატრებდი და შევთხოვდი უფალს“, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

**მედიანიუსი**

2013, 8 აპრილი, №82

# რა ბედი ელის რაბათის ციხეს?

ეკა ირემაშვილი

რა ბედი ელის რაბათის ციხეს? ამ კითხვაზე პასუხის საძიებლად გასულ კვირას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მრგვალი მაგიდა გაიმართა, თუმცა სრულიად უშედეგოდ – საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვერ იქნა მიღებული და დისკუსია შეთანხმების გარეშე დასრულდა.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ როგორც რესტავრატორები, ასევე არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ამჟამინდელი და ყოფილი ხელმძღვანელები, ისტორიკოსები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, რაბათის ციხის დირექტორი. შეხვედრაზე მივიდა ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილიც.

– ჩემს დროს მსგავსი რამ არ ყოფილა. ყველაფერს, ყველა დეტალს დაგეგმილ მრგვალ მაგიდაზე გავარკვევთ. ყველა მინუსსა და პლუსს დავადგენთ, რადგან რაბათის ციხე არის აბსოლუტურად ყველასი. კულტურის სამინისტროს ჯგუფი რაბათის ციხეში უკვე ჩასულია და ციხესიმაგრესთან დაკავშირებით არსებული ვითარების შესახებ სრულ ინფორმაციას მრგვალი მაგიდის მონაწილეებს გააცნობს. რაბათის ციხის საკითხზე დაგეგმილ მრგვალ მაგიდაზე „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილიც მოვიწვიეთ. მრგვალ მაგიდაზე დასწრება ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის ვანო მერაბიშვილსაც შეუძლია. რაბათის ციხესთან დაკავშირებით ბატონი პრეზიდენტის განცხადება, ისევე, როგორც ვანო მერაბიშვილის, იყოს ნაჩქარევი, ზედაპირული და ზედმეტად პოლიტიზებული. ჩვენ ამ საკითხზე აუცილებლად გვექნება მრგვალი მაგიდა, რომელსაც დაესწრებიან სპეციალისტები, თავად რაბათის თანამშრომლები, ქართველი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. როგორც ვიცი, მერაბიშვილმაც განაცხადა, რომ უნდა სხდომაზე დასწრება. იქნება არგუმენტები და კონტრარგუმენტები. ყველას შეუძლია, მოვიდეს, დაესწროს, მათ შორის ბატონ მერაბიშვილსაც. რაბათში ორი თვის წინ ვიყავი ჩასული და მაშინ სხვა ინფორმაცია არსებობდა. კერძოდ, რაბათის ციხესიმაგრიდან ჯვრიანი რელიეფების გამოტანის მსგავსი ინფორმაცია არ ყოფილა, – ასე შეაფასა არსებული ვითარება კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ მრგვალ მაგიდამდე ერთი დღით ადრე.

კულტურის სამინისტროში გამართულ მრგვალ მაგიდას მისმა ორგანიზატორებმა უწოდეს „ახალციხის რაბათის კომპლექსი – ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა“. ეს შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერ მანანა მანჯგალაძისა და ვანო მერაბიშვილის განცხადებების საპასუხოდ დაიგეგმა.

დისკუსია გახსნა ხელოვნებათმცოდნე მანანა სურამელაშვილმა და თავის მოხსენებაში ისაუბრა რაბათის კომპლექსის ისტორიასა და ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ.

– კულტურული გარემო წლების მანძილზე პოლიტიზებული იყო, ძეგლებზე კი მოსაზრებებს წარმოადგენდნენ არა ექსპერტები, არამედ პოლიტიკოსები და სამუშაოები ძეგლზე ელვისებური ტემპებით ისტორიული ღირებულების შეფასების გარეშე დაიწყო. უნდა გვახსოვდეს, რომ ხანდახან შენებით, შესაძლოა, რაღაც დაანგრიო კიდეც, თუმცა, ხაზს ვუსვამ, რომ მეჩეთი და მედრესე ძეგლთა დაცვის პრინციპებით იყო რესტავრირებული, თუ არ ჩავთვლით ოქროს გადახურვას, რაც არატრადიციული და მიუღებელია თურქული მხარისთვის. რაბათის ამჟამინდელი, აღმოსავლური სტილით გაჯერებული არქიტექტურა, ფსევდომავრიტანული სტილის ნაგებობებით მიუღებელია, რადგან ამ პერიოდის არაბული კულტურა საქართველოსთან კავშირში საერთოდ არ არის. საბოლოოდ, ქართული ციხისგან მივიღეთ სრულიად სახეცვლილი, ინტერპრეტირებული, რაღაც აღმოსავლური აქცენტებით გაჯერებული, მოგონილი არქიტექტურა, რომელმაც დაკარგა მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. რაბათის ციხე შედგება ზედა და ქვედა ციხისგან და 2012 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების მერე, ზედა ციხის მაგალითზე, მე-19 საუკუნე საერთოდ გაქრა პირისაგან მიწისა და არაფერი აღარ არის მე-19 საუკუნის ნაგებობიდან დარჩენილი. სამუშაოები ისე დაიწყო, რომ საზოგადოება არ იყო ამის შესახებ ინფორმირებული, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეცნიერო საბჭოს წევრებისთვის ალბომი გასაცნობად მაშინ მიიტანეს, როდესაც რესტავრაცია დამთავრებული იყო. ამ ციხის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. ეს შეფასება არ არის გაზვიადებული. ის ძალიან საინტერესო იყო თავისი სამშენებლო ფენებით, იმ განსაკუთრებულობით, სადაც ქრისტიანული პერიოდი, მუსლიმანური პერიოდი, რუსული პერიოდი იყო მონაცვლეობით წარმოდგენილი და არასოდეს ყოფილა, რომ რომელიმე პერიოდი ასე ხელოვნურად ყოფილიყო გამოძევებული ამ ციხიდან. რეაბილიტაციის შედეგად მივიღეთ სრულიად სახეცვლილი რაბათის ციხე, ისტორიული ნაგებობა, რომელსაც ჰქონდა ჩამოყალიბებული სახე, ახლა კი სრულიად სხვა სახის კომპლექსია.

დისკუსიაზე დაისვა ბევრი კითხვა, მათ შორის ისიც, თუ როგორ და რატომ მოხდა ძეგლზე მავრიტანული მოტივების წამოწევა. ეს შეკითხვა დისკუსიაზე ყველაზე მწვავე იყო, მაგრამ მასზე პასუხი არ გაუცია არც პროექტის ავტორს და არც ვანო მერაბიშვილს. მან მრგვალი მაგიდის მონაწილეებს თავისი ვერსია შესთავაზა:

– აქ თუ ცხაურებზეა საუბარი, ჩვენ გვინდოდა ცხაურების გაკეთება უფრო მაღალი ხარისხით და ვერ მოვასწარით. თუ ახლა კარგი ხარისხით გაკეთდება, მიესალმება ყველა. მინდა შემოგთავაზოთ, გამოცხადდეს მორატორიუმი, რაზეც გაკეთდა, იმაზე, დროებით, რაც აღებულია ვალდებულება თურქულ მხარესთან, დარჩენილია აბანო და კიდევ სხვა ადგილები. მოდით, სხვა არქიტექტორებმა ან იმავე არქიტექტორებმა სხვა ხელმძღვანელებით გააკეთეთ დარჩენილი სამუშაოები და გვერდზე დავუყენოთ და შევადაროთ ერთმანეთს. თუ აღმოჩნდება, რომ თქვენი გაკეთებული იქნება უკეთესი, ვიქნები პირველი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ, დიახ, ვაღიარებთ, თქვენი გაკეთებული უკეთესი ხარისხისაა, უფრო მეტად არის შენარჩუნებული ისტორიული ფაქტები, უფრო ღამაზია, უფრო მეტი ადამიანი ნახულობს, თვითონ ჩავუდგები სათავეში და თვითონ მოვანგრევ, თუ თქვენ გამბედაობა არ გეყოფათ, ამ ყველა შენობას. მე თვითონ მოვანგრევ ყველა სხვა აშენებულ შენობას. მე არ ვარ არქიტექტორი, ეს ჩემი პოლიტიკური გემოვნებაა. არ ვაპირებ არქიტექტურულ დეტალებზე დისკუსიის გაგრძელებას. ისტორიაში რჩებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც აშენებენ, ისტორია ივიწყებს იმ ცენზორების გვარებს, რომლებიც ებრძვიან და აჩერებენ მშენებლობას. 100 წლის მერე არავის ეხსომება ეს შეხვედრა და იმ ადამიანების გვარები, ვინც ამა თუ იმ მშენებლობას დასცინოდა. შეგახსენებთ, რომ ყველა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს კრიტიკოსი ჰყავდა, სვეტიცხოველსაც კი. როგორ შეიძლება, რუსული ყაზარმა თუ რუსული ძეგლი მიგაჩნდეთ ისტორიულ ძეგლად. მთელი XIX საუკუნე ახალციხის ციხე იყო თავლა და, თუ თქვენ რუსული ყაზარმა მიგაჩნიათ ისტორიულ ძეგლად, მაშინ არაფერზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. თქვენ ვერ შეძლებთ ვერაფრის მოშლას, ყველა ძალას გამოვიყენებ, ჩემს ხელთ არსებულს, წინ აღვუდგებით ყველანაირ ნგრევას, არ მოგახსნევინებთ არც გუმბათს, არც ჯვრის ელემენტებს არ გაგატანინებთ ეკლესიიდან, უფრო სწორად, მეჩეთიდან. თქვენ თუ უკეთესს გააკეთებთ, მე ვიქნები პირველი ადამიანი, ვინც ამას აღიარებს, მე ვიქნები თქვენი მიმდევარი და მხარდამჭერი. ახლა კი ბოდიშს გიხდით, მაგრამ აქ ვერ გავაგრძელებთ ყოფნას, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. მან რაბათის ციხის დირექტორი პროვოკაციაში დაადანაშაულა და მრგვალი მაგიდა დატოვა.

ვანო მერაბიშვილის მიერ მრგვალი მაგიდის დატოვება პოეტმა დავით მაღრაძემ ასე შეაფასა:

– ძალიან კარგი. აი, ყველაფრი გამოჩნდა. ჩვენმა მედიამაც გამოაჩინა თავისი სახე. მერაბიშვილი მოვიდა, მოვიდა „რუსთავი 2“, მერაბიშვილი წავიდა და წავიდა „რუსთავი 2“. გამოჩნდა, როგორ აინტერესებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ჩვენს მედიას. ერთი რამ მინდა ვთქვა – თუკი იწვევთ ვანო მერაბიშვლს, რატომ არ იწვევთ შალვა ნათელაშვილს ან კახა კუკავას, ან სხვა პოლიტიკოსებს? ეს ხომ ყველასთვის მნიშვნელოვანი საკითხია!

მრგვალი მაგიდიდან გამოსულმა ვანო მერაბიშვილმა კი ჟურნალისტებს განუცხადა:

– აქ რომ მოვდიოდი, მეგონა, რომ საქმე იყო გაცილებით მარტივად. საქმე ყოფილა ძალიან მძიმედ. მომეჩვენა, რომ ვიყავი ინკვიზიციის სხდომაზე. მადლობა ღმერთს, XXI საუკუნეა. მე ვამბობ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად შევქმნი მოძრაობას რაბათის ციხის გადასარჩენად და არც ერთ მტკაველს რაბათში ჩვენ არ დავთმობთ.

მარინე მიზანდარი, კულტურის მინისტრი მოადგილე:

– კულტურულ მემკვიდრეობას არაფერი მოუვიდოდა იმის გამო, რომ ამდენად პოლიტიზებული არ ყოფილიყო ბოლო წლების მანძილზე. ეს ყველაფერი ახლაც გრძელდება და ამის დასტურია ბოლო დღეების მანძილზე ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის განცხადებები და წარმოდგენილი დოკუმენტაციები სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში იგი რაბათის ციხეზე საუბრობდა, არა როგორც სპეციალისტი, არამედ, როგორც პოლიტიკოსი. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ეს ვითარება შევცვალოთ და ამის შემდეგ ყოველი ინიციატივა ნებისმიერ ძეგლზე სამუშაოს ჩატარებისა გამომდინარეობდეს მხოლოდ ძეგლთა დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებიდან. ზოგჯერ შენების სახელით, შესაძლოა, რამეს ანგრევდე. კულტურული მემკვიდრეობა მოკლევადიან ეკონომიკურ ღირებულებას არ უნდა შეეწიროს, რადგან ის არის მარადიული ფასეულობა. ჩვენ არანაირი დემაგოგიური წინადადების განხილვას არ ვაპირებთ და მით უმეტეს ვანო მერაბიშვილისგან, რომელსაც არანაირი კომპეტენცია არ გააჩნია და მისი უარყოფითი წვლილი თვალსაჩინოა დღეს ახალციხის რაბათის კომპლექსის დამახინჯებაში. ეს სპეციალისტებისა და ექსპერტების კომპეტენციაა. ფაქტი, რომ დღეს შეხვედრაზე მოტანილი ჰქონდა მასალები, როგორც ექსპერტს, კიდევ ერთი ნიმუშია პოლიტიზებისა, რომლის კვალსა და შედეგსაც ვაწყდებით დღესაც. საპატრიარქოსთან კულტურის სამინისტრო თანამშრომლობს და არსებით საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. ეს მრგვალი მაგიდა დასმულ საკითხებსა და წამოყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისთვის შედგა. ჩემი აზრით, ჩაღრმავება საკითხებში ახალციხის რაბათის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით დადებითი მოვლენა იყო, თუმცა რაღაც კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა. პასუხი ვერავინ გაგვცა, რატომ არის გუმბათი ოქროსფერი, რატომ შეირჩა ფსევდომავრიტანული არქიტექტურა. ამ ძეგლის ტერიტორიაზე სამი შრე იყო – ქართული, ოსმალური, შემდგომ კი რუსული არქიტექტურისა. დღესდღეობით კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ისლამური შრე დარჩა, რასაც კიდევ მავრიტანული არქიტექტურა დაემატა. დისკუსია შედგა, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც გამოჩნდა, ვინ რა პოზიციაზეა. რაბათზე სამუშაოების დაწყების თარიღის დასახელება ჯერჯერობით არ შეგვიძლია, თუმცა გუმბათის გადახურვის ფერის შეცვლასთან, ისტორიული ცხაურების დაბრუნებასა და მოსაპირკეთებელი მასალის შეცვლასთან დაკავშირებით მუშაობა აუცილებლად დაიწყება.

მრგვალი მაგიდის მსვლელობისას რესტავრატორებს ყველაზე ხშირად ეკითხებოდნენ, თუ რის საფუძველზე მოხდა ოქროსფერი გუმბათების დადგმა ძეგლებზე. „იკომოს საქართველოს“ წარმომადგენელმა ნატო ცინცაბაძემ ასეთი კითხვა დასვა: რეკონსტრუქციის პროექტს ატრაქციონულს ვუწოდებდი და მივმართავ კითხვით პროექტის ავტორებს, თუ როგორ და რატომ მოხდა ძეგლზე მავრიტანული მოტივების წამოწევა.

შალვა მელიქიძე, რაბათის რესტავრატორი:

– რაც გავაკეთეთ თავიდან, როცა სამუშაოები დაიწყო, ამ ყველაფერს წინ უსწრებდა გეოლოგიური კვლევა, ისტორიული კვლევა, არანაირი გადაკეთება არ მომხდარა. არანაირი პრობლემა რესტავრირებულ ძეგლს არ აქვს. ის, რომ ცხაური არ არის, ვაჩვენე სპეციალისტებს, ყველაფერი განვმარტე. ეს ტექნიკური საკითხია, რომელიც პროფესიონალებმა უნდა გაარჩიონ. ყველაფერი ნორმის დაცვის ფარგლებში მოხდა და თურქულ მხარეს არანაირი პრეტენზიები არ აქვს. არ მესმის, რას ნიშნავს, დაიკარგა კედლებზე სხვადასხვა პერიოდის ფენები. ეს კედლები დავანგრიეთ და ხელახლა ავაშენეთ თუ რა? ეს ფენები იქ არის, ამაში კომპლექსის დირექტორიც დამეთანხმება და, ვისაც ნახვა უნდა, ამოვიდეს და ნახოს.

ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილს კითხვა ნიკოლოზ ვაჩეიშვილთან ჰქონდა:

– სანამ ჩემი კოლეგები არ აღიარებენ იმას, რომ რაღაც შეცდომები დაშვებული იყო, დიალოგი წინ არ წაიწევს. მივმართავ ბატონ ნიკა ვაჩეიშვილს, პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც სააგენტოზე ხორციელდებოდა, განაპირობებს იმას, რომ დღეს არ გაქვთ პასუხები კითხვებზე, თუ რატომ აშენდა ასეთი გადაფარვა. ვაღიაროთ, რომ ეს იყო პოლიტიკური ახირებების შედეგი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილს კი ასეთი პოზიცია აქვს:

– ახალციხის რაბათის კომპლექსის აღდგენაში ცნობილი სარესტავრაციო კომპანიები მონაწილეობდნენ. სერიოზულ მსჯელობას ღრმა დოკუმენტური დასაბუთება სჭირდება. ასეთი დოკუმენტური დასაბუთება, საბედნიეროდ, არსებობს. რაბათის კომპლექსი რუსული ინფრასტრუქტურით იყო შეჭმული, რაც აღნიშნულ ძეგლს ხიბლს

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული ექიმი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უმარავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


# ახმეტელის თეატრი ტრიუმფატორია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მაოდ კარგი საღამო ჩატარდა ქუთაისში. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი დედაქალაქის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი და ნაკლებად მოხდა ამის გაშუქება. ამას კი აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, რადგან ეს არის ჩვენი ქართული, ეროვნული პრიზები. როგორ შეიძლება, მასმედიამ არ გააშუქოს თეატრის საერთაშორისო დღე, ქართული თეატრის დღე. ცოტა გაოცებული ვარ ამ თვალსაზრისით. ეს სტერეოტიპი უნდა დავანგრიოთ და ქართული კულტურა უნდა იყოს თავის სიმაღლეზე. წელს აკუტაგავამ და მისმა დამდგმელმა რეჟისორმა გოგა თავაძემ მიიღეს პრიზი რეჟისურაში, ანკა კალატოზიშვილმა – მხატვრობაში და შარშან გაკეთებულ ვაჟას კოსტიუმებსა და დეკორაციაზე მაია სხირტლაძემ.

*– ვინ იყვნენ ჟიურიში?*

– არ ვიცი, ჟიურის წევრები ვინ იყვნენ მთლიანად. მინდა, ყველას მადლობა ვუთხრა. ეს კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ერთობლივი ჟიურია. ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ ადამიანმა, რომელიც შრომობს და ქმნის კულისებს მიღმა თავის შემოქმედებას, დაიმსახურა პრიზი. შეუმჩნეველი არ დარჩა არაფერი და მიმაჩნია, რომ ეს ახმეტელის თეატრისთვის წარმატებებით მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ლამაზი ნიშანი და წინ გადადგმული ნაბიჯია. ასე რომ, ჩვენ არ უნდა მოვდუნდეთ, ეს ჩვენთან გამორიცხულია. ჩვენ ისეთი ტემპი გვაქვს აღებული, მიმდინარეობს პროცესი, ძიება, აზრთა ჭიდილი და, აქედან გამომდინარე, ივნისისთვის მაყურებელს პრემიერას ვაჩვენებთ. ფარული ჩანაფიქრებიც გვაქვს, რომლის გამჟღავნებაც ახლა არ მინდა, მაგრამ გავაკეთებთ მეორე პრემიერასაც. ამით მაყურებლის წინაშეც პირნათელი ვიქნებით და თეატრსაც ახალი სპექტაკლები ექნება. ჩვენ მოკრძალებული ხალხი ვართ და მხოლოდ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ.

# „ტორპედომ“ თავისი და „დინამოს“ საქმე გააკეთა

**დილა – ტორპედო 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1, 0:2 ბერიაშვილი (2,3), 1:2 მოდებაძე (87)

**დილა:** შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, თოთაძე (მოდებაძე 46), კვირკველია, გვალია, ი.მაისურაძე, არზიანი (გოგუა 46), კახელიშვილი (ლეონარდო 46), გორელიშვილი, ჟუნიორი

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.ონიანი, ტაბატაძე, გ.გურული, გიგაური, გ.დათუნაიშვილი, კუხიანიძე (ფირცხალავა 35), ე.გრიგალაშვილი, დოლიძე (ტუღუში 59), ბერიაშვილი (ვ.ბოლქვაძე 87)

თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ მატჩმა ნამდვილად გაამართლა. გატანილი გოლების გარდა, სახიფათო მომენტებიცა და თვალსასეირო ორთაბრძოლებიც უხვად იყო. ერთია, ასეთი სცენარი მატჩის დასაწყისში სტუმართა ორმა გოლმა განაპირობა.

მასპინძელთა თავკაცმა ვალდას ივანაუსკასმა წინა ტურში „ზუგდიდის“ გამანადგურებელი (6:0) შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისა და უფრო ფრთხილი სტრატეგიით ითამაშა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წინ მხოლოდ ერთი ფორვარდი – ნათან ჟუნიორი განამწესა, რომელსაც ფრთებიდან გორელიშვილი და კახელიშვილი ეხმარებოდნენ. მოედნის ცენტრში კი არზიანი, მაისურაძე და გვალია მოქმედებდნენ. დაცვის ცენტრში მდგარ კვახაძე-თოთაძის დუეტს მარცხნიდან გუნდის კაპიტანი კვირკველია და მარჯვნიდან ალადაშვილი ეხმარებოდნენ.

რაც შეეხება სტუმართა განლაგებას, მოწინააღმდეგის მსგავსად, წინა მატჩისგან განსხვავებით გეგუჩაძემ შეარბილა შეტევის ხაზი და ცენტრი გააძლიერა: მისი გადაწყვეტილებით სკამზე დარჩა ნიკა საბანაძე, ხოლო მის ნაცვლად მოედნის ცენტრში კუხიანიძესა და გიგაურთან ერთად დათუნაიშვილი დადგა. ტორპედოელთა ფრთებზე მარჯვნიდან დოლიძე და მარცხნიდან გრიგალაშვილი თამაშობდნენ. შეტევების დაგვირგვინება კი თავდასხმის ხაზში მარტოდ მყოფ ბერიაშვილს დაევალა. დაცვის ხაზში მწვრთნელს ცვლილება არ მოუხდენია: შუაში ჭელიძე და ონიანი, ფრთებზე კი გურული და ტაბატაძე თამაშობდნენ.

თითქოს მწვრთნელების შერჩეული სტრატეგიებიდან გამომდინარე, წყნარი და მშვიდი თამაში უნდა წასულიყო, სადაც ერთი ბურთი წყვეტს ხოლმე ხშირად გამარჯვებულის ვინაობას, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. მატჩი გახურებულიც არ იყო, როცა ტორპედოელთა შეტევის მარჯვენა ფლანგიდან ტაბატაძემ საჯარიმოს მისადგომებთან ბერიაშვილს მისცა პასი, მაგრამ მან ბურთი კუხიანიძესკენ გაატარა, თავად საჯარიმოში შეიჭრა, სადაც კუხიანიძისგან ბურთი მეკარესთან პირისპირ მყოფმა მიიღო, შეყილაძეს გვერდი აურა და ცარიელ კარში გადაგზავნა – 0:1.

გაშვებულმა გოლმა მასპინძელთა მცველები დააბნია. ცენტრში გათამაშებული ბურთი თოთაძეს მიუვიდა, რომელმაც წინ უხეიროდ დაარტყა. დათუნაიშვილისგან ასხლეტილი ბურთით ბერიაშვილი კვლავ შერჩა შეყრილაძეს პირისპირ, რომელსაც ამჯერად მაღალ კუთხეში გაუტანა. მესამე წუთზე უკვე – 0:2.

ამის შემდგომ გუნდები პოზიციურ თამაშს ცდილობდნენ. ქუთაისელებმა ცოტა უკან დაიხიეს, მაგრამ ბურთის მოხელთებისთანავე ცდილობდნენ მის შენარჩუნებას. ასევე კარგად კომბინირებდნენ გორელებიც, თუმცა მათი შეტევები ზედმეტად მონოტონური იყო: ისინი კარგად აგორებდნენ ბურთს მოედნის ცენტრში, მაგრამ ცენტრიდან შეტევას ვერ ახერხებდნენ. ამიტომ შეეცადნენ ფლანგებიდან ეთამაშათ, მაგრამ საჰაერო ორთაბრძოლებში ჟუნიორი ვერაფერს აწყობდა მცველების წინააღმდეგ. თავის მხრივ, სტუმრები პერიოდულად სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდნენ მეტოქის არეული დაცვის დაჩაგვრას. ტაიმის დამთავრებამდე გუნდებმა რამოდენიმე მომენტი გაცვალეს. „დილას“ შეტევებიდან გამოსარჩევი კახელიშვილის ორი დარტყმაა. პირველი მიგინეიშვილმა ფეხებით მოიგერია, ხოლო მეორე დარტყმის დროს ბურთის დაუფლება ცოტა გაუჭირდა, თუმცა საიმედოდ მაინც ითამაშა. ქუთაისელებმა კი თავიანთი მომენტი სტანდარტიდან შექმნეს. გრიგალაშვილის ჩაწოდებულ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ონიანმა დაარტყა თავი, მაგრამ მეკარემ ბურთი ნახტომში კუთხურზე გადააგდო. მატჩის 35-ე წუთზე სტუმართა მწვრთნელმა ფეხბმკივანი კუხიანიძის ნაცვლად ფირცხალავა გამოიყვანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ივანაუსკასი ვა-ბანკზე წავიდა. მან 46-ე წუთზე სამივე ცვლილება ერთად გამოიყენა, თანაც მცველ თოთაძის ნაცვლად მინდორზე გოგუა შემოუშვა. ასევე შეტევაზე ორიენტირებული რამოსი და მოდებაძე. ამ უკანასკნელს ანგარიშის შემცირების საკმაოდ კარგი შანსები მიეცა. იყო ისეთი მომენტიც, როდესაც მან მეკარესთან პირისპირ მყოფმა ვერ მოახერხა კარის ჩარჩოში დამიზნება. გოლი კი მაშინ გაიტანა, როდესაც „დილას“ დრო ცოტა რჩებოდა. 87-ე წუთზე გათამაშებული სტანდარტიდან საჯარიმოს მისადგომებიდან გოგუამ სუსტად დაარტყა, ბურთი „ტორპედოს“ კარის ძელს მოხვდა, ხოლო დამატებაზე ყველას მოდებაძემ დაასწრო. მართალია, ანგარიში შემცირდა და სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ დილამ დარჩენილ დროში რეალური მომენტის შექმნა ველარ მოახერხა. გოლის გაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე ქუთაისელებს შეეძლოთ თამაშის ყველანაირი ინტრიგა მოეკლათ: მარჯვენა ფლანგზე ახალგაზრდა ტაბატაძემ მოწინააღმდეგის პასი ვარდნაში ჩაჭრა, შემდეგ კი გამჭოლი გადაცემით ბერიაშვილი კიდევ ერთხელ დატოვა შეყრილაძის პირისპირ, მაგრამ შემტევმა მეკარის მოტყუება ვერ შეძლო.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:**

– ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. თამაშამდე ვთქვი, რომ რთული შეხვედრა გველოდა ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტთან. წარმატება საგოლე მომენტების რეალიზაციამ მოგვიტანა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა მატჩებში ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, შესაბამისი შედეგი ვერ ვაჩვენეთ. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ გაუმართლათ. თუმცა, ფეხბურთელები თამაშში პირველივე წუთიდან იყვნენ ჩართულნი და ამან თავისი შედეგი გამოიღო.

**ვალდას ივანაუსკასი, დილას მთავარი მწვრთნელი:**

– „ტორპედოს“ გამარჯვებას ვულოცავ. პირველი ტაიმი დამსახურებულად მოიგო. მეორეში შეგვძელო გაგვეთანაბრებინა, ან სულაც პოზიტიური შედეგით დაგვესრულებინა. პირველი ტაიმი 3 წუთში წავაგეთ. ფეხბურთელებს თავდაჯერება არ ჰქონდათ. ვისი იმედიც მქონდა, მათ ვერ ითამაშეს. შესაძლოა, წინასწარ „გადაიწვნენ“. ძალიან მტკივნეულია, რომ ქულები დავკარგეთ. თუმცა, მოედანზე ჩანდა, რომ „დილა“ გუნდია და იცის რა უნდა. არის პრობლემები, მაგრამ ვფიქრობ, ეს გუნდს კიდევ უფრო შეკრავს. თამაშამდე დაძაბული სიტუაცია

იყო. იმედია, უახლოეს ხანში ეს ყველაფერი დასრულდება. „ზუგდიდთან“ თამაშის შემდეგ, მძიმე კვირა გვქონდა. პირველი ტაიმის შემდეგ სამი შეცვლა გავაკეთე და ძალიან გავრისკე. რომელიმე ფეხბურთელს ტრავმა რომ მიეღო, მოედანზე უმცირესობაში დავრჩებოდით. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას და კონკრეტულ გვარებს, ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ.

**ზუგდიდი – ზესტაფონი 0:0**

**განმუხური. ცენტრალური სტადიონი**

**ზუგდიდი:** ძაგანია, აფაქიძე, აქუბარდია, კანკია, ქვარცხავა, რ.ონიანი, სიხარულია (კობერიძე 90), შ.ლომია (წურწუმია 68), გუგუჩია (მალანია 87), გაბედავა, ეხვაია

**ზესტაფონი:** მეშველიანი, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, თედორე გრიგალაშვილი, ღონღაძე, შარიქაძე (გორგიაშვილი 66), იელიჩი, ბაბუნაშვილი (სამუშია 81), ენდელაძე, კუტალია, ჭანტურიშვილი (კვერნაძე 75)

სტუმრებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს. მატჩის დებიუტშივე ლევან კუტალიას შორიდან დარტყმის შემდეგ ლაშა ძაგანიას ბურთი ხელიდან გაუვარდა, თუმცა სიტუაცია მასპინძელთა მცველების ჩარევის შემდეგ განიმუხტა. კუტალიას თავის გუნდის დაწინაურება პირველი ტაიმის მიწურულს კიდევ ერთხელ შეეძლო – მშვენივრად გათამაშებული კომბინაციის შედეგად ზესტაფონელთა შემტევი ზუგდიდელთა გოლკიპერთან პირისპირ დარჩა, თუმცა ფორვარდის დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. ტაიმის ბოლოს ავთო ენდელაძემ სცადა მასპინძელთა მეკარის შორიდან დარტმით შეწუხება, თუმცა ძაგანიამ ამ ეპიზოდში ყურადღებით ითამაშა.

მეორე ტაიმის საწყისი ნაწილი გუნდებმა ორმხრივ იერიშებში გაატარეს, თუმცა თანდათან უპირატესობას ისევ ზესტაფონელები დაეუფლნენ და აშკარა საგოლე მომენტების სიმწირის მიუხედავად, რამდენიმე ეპიზოდში მაინც ახლოს იყვნენ გადამწყვეტი გოლის გატანასთან. განსაკუთრებული გამორჩევის ღირსია ეპიზოდი, როდესაც მასპინძელთა გოლკიპერთან პირისპირ აღმოჩნდა ვახტანგ ჭანტურიშვილი, რომელსაც აქცენტირებული დარტყმის განხორციელებაში უკნიდან წამოწეულმა მცველებმა შეუშალეს, თუმცა ბურთს იქვე მყოფი შოთა ბაბუნაშვილი დაეუფლა და მასპინძელთა კარის დაუცველ შორეულ კუთხეში დაარტყა – ზუგდიდელთა კარის დარაჯმა თავის გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. ზესტაფონელთა სამწვრთნელო შტაბმა შეცვლებით სცადა საწადელის მიღწევას, თუმცა საბოლოოდ დღევანდელი მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა – 0:0.

**დინამო (თბ) – ჩიხურა 3:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ჩისკო (28), 2:0 ხმალაძე (34), 3:0 ჩისკო (61)

**დინამო:** ლორია, უსტარიცი, კვარაცხელია, კოტო, მერებაშვილი, ხმალაძე, გლიშიჩი, გრაიციარი (პაპავა 87), ჩისკო (დვალი 74), სეთურიძე, ძარია (ალვარო 70)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ბერიანიძე, ჭელიძე, გ.ჩხეტიანი (დემეტრაშვილი 61), ნ.კვასხვაძე, ძმასაშვილი, ლომაშვილი (ქიმაძე 73), ჩიკვაიძე, გოცირიძე (ნადირაძე 73), კაშია, დეკანოიძე

საჩხერლები თბილისს შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ და მასპინძელთა იოლი და დამაჯერებელი გამარჯვება გასაკვირიც არის. „დინამომ“ სრულად დაჩაგრა მეტოქე. დუბლი ესპანელმა ჩისკომ შეასრულა, რომელიც სერიოზულად დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში. მის გოლებს შორის თავი ლევან ხმალაძემაც გამოიჩინა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ბოლივია-ბრაზილია ..... 0:4

**ინგლისი. ჰემპიონიგა**

რედინგი-საუთჰემპტონი ..... 0:2
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი ..... 1:2
ნორვიჩი-სუონსი ..... 2:2
სტოკი-ასტონ ვილა ..... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 25 | 2 | 3 | 70:31 | 77 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:26 | 62 |
| 3.ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53:38 | 57 |
| 4.არსენალი | 31 | 16 | 8 | 7 | 61:34 | 56 |
| 5.ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59:32 | 55 |
| 6.ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47:35 | 51 |
| 7.ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 59:40 | 48 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42:43 | 44 |
| 9.სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43:42 | 41 |
| 10.ფულემი | 30 | 10 | 9 | 11 | 43:46 | 39 |
| 11.საუთჰემპტონი | 32 | 9 | 10 | 13 | 46:53 | 37 |
| 12.ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35:44 | 36 |
| 13.სტოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 28:39 | 34 |
| 14.ნორვიჩი | 32 | 7 | 14 | 11 | 30:49 | 35 |
| 15.ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:56 | 33 |
| 16.ასტონ ვილა | 32 | 8 | 9 | 15 | 35:59 | 33 |
| 17.სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:43 | 31 |
| 18.უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36:56 | 30 |
| 19.რედინგი | 32 | 5 | 8 | 19 | 36:63 | 23 |
| 20.ქპრ | 31 | 4 | 11 | 16 | 26:51 | 23 |

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

ბარნსლი-ბრისტოლი ..... 3:1
ბირმინგემი-მილუოლი ..... 1:1
ბოლტონი-ვულვზი ..... 2:0
ბრაიტონი-ლესტერი ..... 1:1
დერბი-იფსვიჩი ..... 0:1
კრ.პალასი-ბარნსლი ..... 0:0
ნოტინგემი-ბლექპული ..... 1:1
ჰადერსფილდი-პიტერბრო ..... 2:2
ჰალი-მიდლსბრო ..... 1:0
ჩარლტონი-ლიდსი ..... 2:1
უენსდი-ბლექბერნი ..... 3:2
უოტფორდი-კარდიფი ..... 0:0

**ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი**

სოსიედადი-მალაგა ..... 4:2
რეალი-ლევანტე ..... 5:1
დეპორტივო-სარაგოსა ..... 3:2
ბარსელონა-მალიორკა ..... 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 25 | 3 | 2 | 95:33 | 78 |
| 2.რეალი | 30 | 20 | 5 | 5 | 77:29 | 65 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51:25 | 61 |
| 4.სოსიედადი | 30 | 14 | 9 | 7 | 55:39 | 51 |
| 5.მალაგა | 30 | 13 | 8 | 9 | 43:32 | 47 |
| 6.ბეტისი | 30 | 14 | 5 | 11 | 44:43 | 47 |
| 7.ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42:41 | 46 |
| 8.ხეტაფე | 29 | 12 | 7 | 10 | 38:44 | 43 |
| 9.რაიო | 29 | 13 | 2 | 14 | 38:49 | 41 |
| 10.ლევანტე | 30 | 11 | 7 | 12 | 35:46 | 40 |
| 11.სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:41 | 38 |
| 12.ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35:39 | 36 |
| 13.ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:41 | 35 |
| 14.ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33:51 | 35 |
| 15.ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26:33 | 31 |
| 16.გრანადა | 30 | 7 | 7 | 16 | 28:45 | 28 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 6 | 17 | 28:46 | 27 |
| 18.დეპორტივო | 30 | 6 | 8 | 16 | 38:64 | 26 |
| 19.სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29:43 | 24 |
| 20.მალიორკა | 30 | 6 | 6 | 18 | 32:63 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-მირანდესი ..... 1:1
პონფერადინა-ლას პალმასი ..... 0:1
ელჩე-ლუგო ..... 0:0
ალკორკონი-რასინგი ..... 0:1

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-პესკარა ..... 2:1
ბოლონია-ტორინო ..... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 22 | 5 | 4 | 61:20 | 71 |
| 2.ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55:29 | 59 |
| 3.მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 53:32 | 57 |
| 4.ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54:37 | 51 |
| 5.ინტერი | 30 | 15 | 5 | 10 | 47:39 | 50 |
| 6.ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 39:36 | 50 |
| 7.რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 60:51 | 47 |
| 8.კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40:37 | 45 |
| 9.უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38:38 | 42 |
| 10.პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39:39 | 38 |
| 11.კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37:49 | 38 |
| 12.ბოლონია | 31 | 10 | 7 | 14 | 41:40 | 37 |
| 13.სამპდორია | 30 | 10 | 7 | 13 | 35:35 | 36 |
| 14.ტორინო | 31 | 8 | 13 | 10 | 39:41 | 36 |
| 15.კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31:45 | 35 |
| 16.ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30:42 | 34 |
| 17.ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:47 | 27 |
| 18.სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31:42 | 26 |
| 19.პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25:43 | 24 |
| 20.პესკარა | 31 | 6 | 3 | 21 | 22:63 | 21 |

**შენიშვნა:**

**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ჩეზენა ..... 2:1
ვერონა-ტერნანა ..... 2:1
ვიჩენცა-ჩიტადელა ..... 1:2
ლანჩანო-იუვე სტაბია ..... 1:1
ლივორნო-ასკოლი ..... 3:0
მოდენა-პრო ვერჩელი ..... 1:0
ნოვარა-სასუოლო ..... 3:2
სპეცია-გროსეტო ..... 2:1
ემპოლი-კროტონე ..... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ბაიერნი ..... 0:1
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ..... 1:1
გლადბახი-ფიურტი ..... 1:0
ვერდერი-შალკე ..... 0:2
ჰამბურგი-ფრაიბურგი ..... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 24 | 3 | 1 | 79:13 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62:32 | 52 |
| 3.ლევერკუზენი | 28 | 14 | 7 | 7 | 51:36 | 49 |
| 4.შალკე | 28 | 13 | 6 | 9 | 48:43 | 45 |
| 5.ფრაიბურგი | 28 | 11 | 9 | 8 | 36:33 | 42 |
| 6.აინტრახტი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:40 | 42 |
| 7.გლადბახი | 28 | 10 | 11 | 7 | 36:37 | 41 |
| 8.მაინცი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:30 | 39 |
| 9.ჰამბურგი | 28 | 11 | 5 | 12 | 32:44 | 38 |
| 10.ჰანოვერი | 27 | 11 | 4 | 12 | 49:46 | 37 |
| 11.ნიურნბერგი | 27 | 8 | 11 | 8 | 31:34 | 35 |
| 12.ვოლფსბურგი | 28 | 8 | 9 | 11 | 33:43 | 33 |
| 13.შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 29:46 | 32 |
| 14.ვერდერი | 28 | 8 | 7 | 13 | 43:54 | 31 |
| 15.ფორტუნა | 28 | 7 | 8 | 13 | 33:43 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23:40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 28 | 6 | 5 | 17 | 33:52 | 23 |
| 18.ფიურტი | 28 | 2 | 9 | 17 | 18:46 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ზ.პაული ..... 3:2
რეგენსბურგი-ფრანკფურტი ..... 1:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-პსჟ ..... 0:2
ბასტია-ბრესტი ..... 4:0
მონპელიე-ვალანსიენი ..... 3:1
ნანსი-ტრუა ..... 1:0
სოშო-აიაჩო ..... 0:0
ტულუზა-ნიცა ..... 3:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 31 | 19 | 7 | 5 | 56:20 | 64 |
| 2.მარსელი | 31 | 17 | 6 | 8 | 36:32 | 57 |
| 3.ლიონი | 30 | 15 | 8 | 7 | 49:32 | 53 |
| 4.ნიცა | 31 | 14 | 9 | 8 | 45:37 | 51 |
| 5.სენტ ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50:25 | 50 |
| 6.ლილი | 30 | 13 | 10 | 7 | 43:31 | 49 |
| 7.მონპელიე | 31 | 14 | 6 | 11 | 47:37 | 48 |
| 8.ლორიენი | 30 | 11 | 11 | 8 | 48:45 | 44 |
| 9.ბორდო | 31 | 10 | 13 | 8 | 29:26 | 43 |
| 10.რენი | 31 | 12 | 6 | 13 | 41:43 | 42 |
| 11.ტულუზა | 31 | 10 | 11 | 10 | 39:38 | 41 |
| 12.ბასტია | 31 | 11 | 6 | 14 | 42:56 | 39 |
| 13.ვალანსიენი | 31 | 9 | 9 | 13 | 41:48 | 36 |
| 14.აიაჩო | 31 | 8 | 12 | 11 | 32:40 | 34 |
| 15.სოშო | 31 | 8 | 8 | 15 | 32:47 | 32 |
| 16.ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34:43 | 31 |
| 17.რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:37 | 31 |
| 18.ნანსი | 31 | 7 | 9 | 15 | 29:47 | 30 |
| 19.ბრესტი | 31 | 8 | 5 | 18 | 29:48 | 29 |
| 20.ტრუა | 31 | 4 | 13 | 14 | 36:54 | 25 |

**შენიშვნა:**

**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გენგამი-კლერმონი ..... 0:0

**ჰოლანდია. ეხედივიზიონი**

ვიტესი-ბრედა ..... 3:0
ზვოლე-ვალვაიკი ..... 1:1
ტვენტე-როდა ..... 2:0
ტილბურგი-პსვ ..... 1:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

სპორტინგი-მორიერენსე ..... 3:2

**ხუთეთი. ჰემპიონიგა**

ცსკა-ვოლგა ..... 2:0
როსტოვი-სპარტაკი ..... 1:0
ლოკომოტივი-ტერეკი ..... 1:1

**მოტლანდია. ჰემპიონიგა**

ჰართსი-როსი ..... 4:2
დ.იუნაიტედი-აბერდინი ..... 1:0
კილმანროკი-დანდი ..... 1:2
მოზერველი-სტ.მირენი ..... 2:2
სელტიკი-ჰიბერნიანი ..... 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ლუცერნი ..... 2:1
ციურიხი-გრასჰოპერსი ..... 2:4

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-რაპიდი ..... 1:1
აუსტრია-ვოლფსბერგერი ..... 0:4
ნოიშტადი-მატერსბურგი ..... 0:0
რიდი-ადმირა ..... 4:1

**ბელგია. ჰოლიგა**

სტანდარდი-ანდერლეხტი ..... 0:0
ბევერენი-მეხელენი ..... 1:0
კორტრაიკი-გენტი ..... 0:0
მონსი-ლიერსი ..... 2:1
შარლერუა-ლეუვენი ..... 3:0
სერკლი-ბეერსხოტი ..... 1:0

**საბეჭდნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-ლევადიაკოსი ..... 1:2
პაოკი-ვერია ..... 2:0
ატრომიტოსი-არისი ..... 0:1

**თუჰქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-ქარაბუი ..... 2:2
ქაისერი-ელაზიგი ..... 4:1
გალათასარაი-მერსინი ..... 3:1

**ჩეხეთი. გამბჰინუსლიგა**

სიგმა-სპრატა ..... 0:3
ბანიკი-ლიბერეცი ..... 0:1

**უკრაინა. ჰემპიონიგა**

ილიჩევეცი-კრივბასი ..... 0:1
მეტალურგი(ზ)-არსენალი ..... 0:0
დნიპრო-ვორსკლა ..... 1:2
მეტალისტი-ვოლინი ..... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

იაგელონია-პოგონი ..... 1:0
შლეონსკი-გურნიკი ..... 2:1
ლეგია-ზაგლებიე ..... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-მიდტიულანდი ..... 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტარტი-ტრომსო ..... 2:2
ბრანი-მიოლდე ..... 1:0

**ირლანდია. ჰემიერ დივიზიონი**

სლიგო-შელბურნი ..... 2:0

**აშშ. მლს**

ტორონტო-დალასი ..... 2:2
კოლამბუსი-ფილადელფია ..... 1:1
კოლორადო-სოლტ ლეიკი ..... 1:0
პორტლენდი-ჰიუსტონი ..... 2:0
სან ხოსე-ვანკუვერი ..... 1:1

**ახგენტინა. ჰიმეჰა დივიზიონი**

ველეჟი-სან ლორენცო ..... 1:1
უნიონი-არხენტინოსი ..... 0:0
გოდოი-ბელგრანო ..... 0:0
ქილმესი-სან მარტინი ..... 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. ჩეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ინდიანა ..... 104:85
ბრუკლინი-შარლოტი ..... 105:96
მაიამი-ფილადელფია ..... 106:87
მინესოტა-დეტროიტი ..... 107:101
მილუოკი-ტორონტო ..... 100:83
სან ანტონიო-ატლანტა ..... 99:97
დენვერი-ჰიუსტონი ..... 132:114

**ჩოგბურთი**

**ვტა. მონტეჩი**

ნიკულესკუ-პავლუჩენკოვა ... 6:3;2:6;4:6
კერბერი-კირილენკო ..... 6:4;2:6;6:2

**ჭოკეი**

**ნჰლ. ჩეგულარული სეზონი**

ვინიპეგი-ფილადელფია ..... 4:1
ნეშვილი-ჩიკაგო ..... 0:1
ლოს ანჯელესი-ედმონტონი ..... 4:1
კაროლინა-რეინჯერსი ..... 1:4
მონრეალი-ბოსტონი ..... 2:1
ნიუ ჯერსი-ტორონტო ..... 1:2
აილენდერსი-ტამპა ბეი ..... 4:2
ფლორიდა-ვაშინგტონი ..... 3:4
ფინიქსი-კოლორადო ..... 4:0
ვანკუვერი-კალგარი ..... 5:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# რა ბედი ელის რაბათის ციხეს?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მთლიანად უკარგავდა. ასეთი ჩარევა აღნიშნულმა ციხემ სწორედ ამ მიზეზით აიტანა. არის ციხეები, რომლებშიც მსგავსი სარესტავრაციო ჩარევა წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ მრგვალ მაგიდასთან რაბათის ციხის გარშემო მიმდინარე მოვლენებს უაზრო აურზაურს ვუწოდებდი, რადგან, სანამ ამ თემის გარშემო ამხელა აჟიოტაჟს ატეხდნენ, უკეთესი იქნებოდა, კარგად გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში, შეხვედროდნენ იმ ადამიანებს, ვინც ამ თემაზე მუშაობდა, ვისაც უკვე კარგა ხანია ნაფიქრი აქვს და თითოეული ნაბიჯი და არჩევანი შეგნებულად აქვს გაკეთებული, მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა აზრი, თორემ მანამდე ეს იქნება უბრალო თავყრილობა. ამ თემის ირგვლივ დღევანდელ შეხვედრაზე ყველა ბევრს ილაპარაკებს, თუმცა კრება დარჩება მხიარული. ჯობს, კულტურის სამინისტრო გაესაუბროს იმ ადამიანებს, ვინც ამ პროექტზე ინტენსიურად და დაუღალავად მუშაობდა და უკეთ გაეცნოს საქმის ვითარებას. ამას არ ჰქვია პრობლემები, ამას ჰქვია აურზაური ჭიქაში, ამიტომ კარგად ჩაიხედონ და მაშინ მიხვდებიან, რომ ყველა ამ კითხვას აქვს პასუხი. ამ თემით საზოგადოების ნერვიულობა არ ღირს, რადგან იმ საქმეებზე, რომელიც კარგად არის გაკეთებული, არ უნდა ვინერვიულოთ. უნდა ინახოს დოკუმენტაცია, უნდა მოხდეს შეხვედრა იმ ადამიანებთან, ვინც ამ ყველაფერს უძღვებოდა და ყველაფერში კარგად არის ჩახედული. თორემ ასეთი გადაძახილი და ფარ-თო ემოციური შეხვედრა ადამიანებს მარტო მუხტავს ემოციურად. ვფიქრობ, საქმე ასეთი შემთხვევებით არ კეთდება. მოვუწოდებ კულტურის სამინისტროს, ასეთი ტიპის შეხვედრების გამართვამდე სხვა დროს კონსულტაცია უშუალოდ გაიარონ იმ ადამიანებთან, ვინც ამ პროექტზე მუშაობდა. მინდა მოგიწოდოთ, ჩაიხედოთ იმ დოკუმენტაციაში, რომელიც წინ უძღოდა რაბათის ციხეში ამგვარ ჩარევას. ამ პროექტზე ძალიან ფართო სპექტრის სხვადასხვა სპეციალისტი მუშაობდა.

მერაბ ბოჭოიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საagენტოს ხელმძღვანელი:

– სამეცნიერო საქმიანობა არ არის შემოქმედებითი საქმიანობა. პროექტმა შესაძლოა არქიტექტორი გაიტაცოს, ამიტომ არის აუცილებელი პროფესიონალური აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის გაძლიერებასაც სააგენტო შეეცდება. სარესტავრაციო სამუშაოების დროს შეცდომების დაშვება ხდება ხოლმე და ამჯერად მსჯელობა გამოსწორებად დეტალებს შეეხება, რამაც არ უნდა შეიძინოს ასეთი დრამატული ხასიათი.

მეუფე თეოდორე, ახალციხის ეპისკოპოსი:

– დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენი მხრიდან წარმოდგენილი არიან ხელოვნებათმცოდნეები, რესტავრატორები და ისინი უფრო კომპეტენტურად დააფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას. როგორ გაკეთდა, ამაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან სპეციალისტი და კომპეტენტური პირი არ ვარ. რაც გაკეთდა და რომ გალამაზდა ეს ციხე, ძალიან კარგია. ამან ძალიან ბევრი დადებითი ემოცია და მუხტი გამოიწვია ხალხში, თვითონ ახალციხელებში. ახალციხის ეპისკოპოსი ვარ და კარგად ვიცი მათი ემოციები და სიხარული, რომელიც მათში იყო გამოწვეული და დასაქმდა უამრავი ადამიანი. ვისაუბრებ მხოლოდ მცირე ისტორიაზე. ეს მეჩეთი 1752 წელს ახმედ ჯაყელმა, მუსლიმანმა ქართველმა ქართველებისთვის ააშენა. ეს არის ქართული კულტურის ძეგლი. გადმოცემით, ამ ადგილზე იყო ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც დაშალეს და მეჩეთი აშენდა. არ არის ჩატარებული სათანადო არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც ამას დაადასტურებდა, მაგრამ, იმედია, მომავალში ეს მოხდება. შემდეგ ახალციხე რუსეთმა აიღო. 1829-1830 წლებში ის რუსებმა დაიკავეს და ტაძრად გადაკეთდა. მიშენდა სამრეკლო, გაკეთდა ორი სადიაკვნო და ტაძარმა ფუნქციონირება დაიწყო. შიგნით არის ტრაპეზი ნაკურთხი. შიგნით რომ შეხვალთ, მეექვება, ვინმემ იფიქროს, რომ ეს მეჩეთია. ეს მეჩეთი გადაკეთდა ტაძრად და საქართველოს საპატრიარქოა მისი მესაკუთრე. რაც შეეხება მის მდგომარეობას, მის აღდგენას, ეჭვგარეშეა, რომ არ შეიძლებოდა მასში ძირეული არქიტექტურული ცვლილებების შეტანა. ისეთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, საკურთხეველი აქვს 200 წელზე მეტია, აქვს სამრეკლო, რომლის შეცვლა შეუძლებელია. დანარჩენზე სპეციალისტებმა უნდა იფიქრონ და იზრუნონ, როგორ უნდა მოხდეს. უბრალოდ, მე მინდა ვთქვა, რომ ეს აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული საქართველოს საპატრიარქოს არქიტექტურულ საბჭოსთან. ასევე იყო საუბარი მის ინტერიერში მდებარე მოჩუქურთმებული ქვების შესახებ, რომლებშიც ჯვრებია ამოკვეთილი. შესაძლოა ვიფიქროთ ამ ქვების გატანაზე, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის საპატრიარქოს კუთვნილება, ეს არის ტაძარი, უნდა იყოს შეთანხმებული საპატრიარქოს არქიტექტურულ საბჭოსთან. სასიხარულოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი აღდგა. მისი პროექტი საპატრიარქოს არქიტექტურის საბჭოსთან იყო შეთანხმებული. ასევე შეთანხმებული უნდა იყოს საპატრიარქოსთან, რა სახის გამოფენა განთავსდება შიგნით, რადგან ყველა სახის გამოფენის განთავსებას საპატრიარქო ვერ დათანხმდება. მეჩეთი აშენდა ქართველებისათვის. ეს არის არა თურქული, არამედ ქართული ძეგლი, სადაც აღმართულია საკურთხეველიც. იქ, შესაძლოა, ღვთისმსახურება აღევლინოს.

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

– რაბათი ერთი ადამიანის ან ადამიანთა ერთი ჯგუფის საკუთრება არ არის. რაბათის ციხე თითოეული მოქალაქისა და სრულიად საქართველოს საკუთრებაა და მის სარესტავრაციო სამუშაოებზე მსჯელობისას პროცესს მიღმა არავინ უნდა დარჩეს. მკვეთრი განცხადებები ჩვენ არასოდეს გვქონია თუნდაც რაბათის ციხესთან დაკავშირებით. ორი თვის წინ ვიყავი იქ და შევხვდი მოსახლეობას. ყველას სხვადასხვა აზრი ჰქონდა. ნაწილს მიაჩნია, რომ თაღი არ უნდა იყოს იმ ფერის, რომელიც არის და ასევე ცხაურებზეა საუბარი. ერთი სიტყვა აქედან არ გასულა, რომ ჩვენ რამე უნდა დავამტვრიოთ და დავანგრიოთ. ხმაური პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებას მოჰყვა, მოგვიანებით კი – მერაბიშვილის სიტყვებს, რომ რაბათის არც ერთ კვადრატულ მეტრს არ დათმობს. ეს არის ძალიან ზეპოლიტიზებული განცხადებები. ჩვენ კი ტრადიციულად შემოღებული მრგვალი მაგიდა მოვიწვიეთ, სადაც ვცდილობთ, შევქმნათ მშვიდი სადისკუსიო სივრცე, სადაც ვისმენთ მოწინააღმდეგეთა აზრსაც. ჩემი აზრით, შეხვედრა შედგა, თუმცა მერაბიშვილის მოსვლასა და საკუთარი სიტყვის შემდეგ დისკუსიის დატოვებას ექსცესად ვაფასებ. ინება ამ მრგვალ მაგიდაზე მოსვლა ვანო მერაბიშვილმა, დარჩა სულ რაღაც 45-50 წუთი, წავიდა, სიტყვაც თქვა თავისი და სხვას არ მოუსმინა. მონოლოგის პრინციპი, რომ მე ვიტყვი და სხვამ რაც უნდა ის თქვას, მიუღებელია, მაგრამ ყველაზე მეტად მიუღებელი ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის არის ის განცხადება, რომელიც მან მისცა მასმედიას. ჩვენი დისკუსიის მსვლელობისას მივიღეთ წერილი, რომ მერაბიშვილი აცხადებს, თავი მეგონა ინკვიზიციის სხდომაზეო. მგონია, რომ ბატონმა მერაბიშვილმა არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „ინკვიზიცია“ და ვურჩევ, ჩაიხედოს ლექსიკონში. ეგ არის დამღუპველი თვითონ თეზა და ასეთი მიმართება – ჩვენ და თქვენ. ის, ვინც ყოფს ქვეყანას ჩვენად და თქვენად, საქართველოს ზიანს აყენებს.

გუჯა ბიჭაშვილი, ახალციხის დირექტორი:

– ვანო მერაბიშვილს ვუთხარი, რომ თქვას მხოლოდ სიმართლე, რადგან კარგად მიცნობს. მან, როგორც ყოველთვის, იცრუა. ვანო მერაბიშვილი სამცხე-ჯავახეთს გადაფარებული იყო და ის საკუთარი სამფლობელო ეგონა. მერაბიშვილის სიტყვები რაბათზე მხოლოდ სიცრუეა. კომპლექსში ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ამის სანახავად თითოეულ ჟურნალისტსა და ექსპერტს ვიწვევ. საშინელ განცხადებებს აკეთებს. ის აჟიოტაჟი, რაც გამოიწვია ვანო მერაბიშვილის და მისეულ საბაკშვილის ბოდვამ, არ შეესაბამება სიმართლეს. ისინი სრულ აგონიაში არიან. ეს შეიძლია დავადასტურო. თქვენ ისმენდით ყველაფერს. არის იქ ნიუანსები, რაც აღმოიფხვრება. სადღაც წყალი ჩამოდის, სადღაც სისველეა, სადღაც რაღაც ჩამოვარდნილია, სხვა დანარჩენი წესრიგშია. სანიაღვრე საკითხები მათ თავად მიაფუჩეჩეს. არაფერი არ ინგრევა, მოგიწვევთ, მობრძანდით, კიდევ უფრო ლამაზდება, მრავალი ბრენდი გაიხსნა და ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

მაია ჯანჯალია, ხელოვნებათმცოდნე:

– ეს არის პოლიტიკური საჩვენებელი შეხვედრები კამერებით, სხვა ადამიანებით. შეიძლება, დაინტერესებულია ყველა, მაგრამ ეს არ არის საქმიანი საუბარი. სიტუაცია სულ პოლიტიკით არის გაჯერებული. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის გამოსული წინასაარჩევნო სიტუაციიდან.

# ბაიერნი ნაადრევი ჩემპიონია

მიუნხენის „ბაიერნმა“ 28-ე ტურში „აინტრახტის“ ძლევის შემდეგ ნაადრევად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ფეხბურთელებმა ჩემპიონობა იზეიმეს და განაცხადეს, რომ ამ სეზონში ისინი კიდევ ორი თასისთვის აპირებენ ბრძოლას. მანუელ ნოიერმა, არიენ რობენმა და ტომას მიულერმა განაცხადეს, რომ მიღწეულით ძალიან ამაყობენ.

**მანუელ ნოიერი:**

– წარმოუდგენლად გახარებული ვარ, რადგან „ბავარიამ“ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გუნდი ამაყობს მიღწეულით, მაგრამ არ გვავიწყდება სხვა ტურნირებიც. მომავლის განხილვას არ დავიწყებ, მაგრამ „ბაიერნს“ შეუძლია კიდევ ორი ტიტული მოიგოს.

**ტომას მიულერი:**

– უჭვეულოა ასე ნაადრევად ჩემპიონატის მოგება, ეს ენითაღუწერელი განცდაა. „ბაიერნმა“ დაიმსახურა ეს წარმატება. მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით და კიდევ ბევრი რეკორდის დამხობას შევეცდებით.

**არიენ რობენი:**

– ეს დღე ყოველთვის დარჩება ჩემს ცნობიერებაში. გუნდისთვის ეს საუკეთესო მატჩი არ იყო, მაგრამ საჭირო შედეგს მაინც მივაღწიეთ. „ბაიერნი“ ჩემპიონია, მაგრამ სეზონი ჯერ არ დასრულებულა. შაბათს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. ამჯერად უფრო დიდი ტიტულები გვინდა.

**მ. უ.**

# „ტორპედომ“ თავისი და „დინამოს“ საქმე გააკეთა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**სატურნირო ცხრილი**

**1-6 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 26 | 18 | 6 | 2 | 70:20 | 60 |
| 2.დილა | 26 | 18 | 2 | 6 | 45:18 | 56 |
| 3.ტორპედო | 26 | 15 | 6 | 5 | 44:20 | 51 |
| 4.ჩიხურა | 26 | 15 | 5 | 6 | 39:25 | 50 |
| 5.ზესტაფონი | 26 | 11 | 6 | 9 | 31:23 | 39 |
| 6.ზუგდიდი | 26 | 10 | 6 | 10 | 28:38 | 36 |

**მერანი – ვიტ ჯორჯია 2:0**

**მარტვილი. ცენტრალური**

1:0, 2:0 ლომია (36,65)

**მერანი:** შეროზია, გეგეჭკორი, იობაშვილი, ლ. ღონღაძე, ხუბუა (ტორონჯაძე 46), დიდავა, ბეკია, ფონიავა, კუჭუხიძე (ბანება 86), მელიავა, ს.ლომია (გუგუნაშვილი, 71)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, უბილავა, ვასაძე, გურეშიძე, იაშვილი (ლობჟანიძე, 60), ჯავაშვილი (გოგიაშვილი 60), ჯანელიძე, კუხელეიშვილი (გაბრიჭიძე, 77)

მასპინძლებმა საბა ლომიას დუბლით იმარჯვეს, თავად საქმე გამოიკეთეს, ხოლო „ვიტ ჯორჯია“ ცუდ დღეში ჩააგდეს.

**მეტალურგი – სიონი 0:0**

**რუსთავი. ფოლადი**

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, მენთეშაშვილი, ფიფია, ლობჟანიძე (ქავთარაძე 80), სუხიაშვილი (საჯაია 89), ინწკირველი, რაზმაძე, სიხარულიძე (კვარაცხელია 59), გავაშელიშვილი, ახალკაცი

**სიონი:** ბობღიაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, ელიავა, უგრეხელიძე, ჯოჯუა (ცხადაია 75), ჰაიდუჩეკი, მანწკავა (ისიანი 66), კლიმიაშვილი, ლექვთაძე (ბიბილეიშვილი 46), მიკუჩაძე

„მეტალურგს“ საქმე მოლეული აქვს – სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე რუსთაველები მშვიდად ადევნებენ თვალს ჩემპიონატს, მაგრამ ქულებს არ ანიავებენ, ფეარ პლეის დაცვით თამაშობენ.

ბოლნისელებს კი ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად ცხარე ბრძოლა მოუწევს.

**კოლხეთი – დინამო (ბთ) 1:1**

**ფოთი. ფაზისი**

0:1 ჩიმაკაძე (43), 1:1 ბუხაიძე (62)

ზღვისპირულ დერბიში უფრო მოგებული ბათუმელები დარჩნენ, თუმცა მაინც გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ ელიტაში დასარჩენად. ფოთელებს თეორიული შანსი კი აქვთ შერჩენილი, მაგრამ დაქვეითებისგან ახლა უკვე სასწაული თუ იხსნით.

**სატურნირო ცხრილი**

**7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.მეტალურგი | 26 | 11 | 6 | 9 | 26:29 | 39 |
| 8.მერანი | 26 | 8 | 3 | 15 | 26:39 | 27 |
| 9.დინამო (ბთ) | 26 | 6 | 5 | 15 | 27:48 | 23 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 26 | 5 | 7 | 14 | 17:38 | 22 |
| 11.სიონი | 26 | 5 | 7 | 14 | 17:41 | 22 |
| 12.კოლხეთი | 26 | 2 | 5 | 19 | 15:46 | 11 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო თბ) – 21 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 17; საბა ლომია (მერანი) – 15; ალვარო (დინამო თბ) – 12.

**მ. უ.**

ჩვენს საყვარელ შორენა გოხელაძეს
ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ
ჯანმრთელობას, დიდ პირად ბედნიერებას,
ნარმატებებსა და უფლის წყალობას.

სიყვარულით, „ახალი თაობა“

# სჯანჯოხელი



1. იუპიტერის თანამგზავრი; 2. ... დებიუსი; 3. სახურავი მასალა; 4. მუხის ნაყოფი; 5. ბაწარი; 6. ვერდის ოპერა; 7. ყვავილი; 8. ქალიშვილი (ინგლისურად); 9. უბანი ძველ თბილისში; 10. სანთელი; 11. კილიანი ხორბალი; 12. სუფრის წამყვანი; 13. მეექვსე ნოტი; 14. ხმის გამოძახილი; 15. ქალაქი გერმანიაში; 16. სამიანი კამათელზე; 17. ებრაული ენა; 18. ღამის პეპელა; 19. ხეთების ქალღმერთი; 20. ნამუსი; 21. ზოგი მოლუსკის ნიჟარის შიგა მოელვარე ფენა; 22. ... პირველი, ... უკანასკნელი; 23. ცდის საფუძველზე; 24. ორკესტრის რომელიმე საკრავის სოლო ვირტუოზული ეპიზოდი კონცერტში; 25. მობოდიშება ფრანგულად; 26. ჟორჟ სანდის რომანი; 27. მამაკაცი; 28. ბედ-იღბალი; 29. ძველ რომაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი; 30. მწვანილი; 31. სარბიელი; 32. ბერძნული ანბანის ასო; 33. ტექსტის შეწეული სტრიქონი; 34. პრიმიტიული ფეხსაცმელი ძველად.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვერდერი; 2. ენდშპილი; 3. ვირსალაძე; 4. ხარფუხი; 5. მიზანთროპი; 10. მწნილი; 11. კომფორტი; 12. იომიური; 13. ცანგალა; 16. მადრიგალი; 17. ბარაკონი; 12. ავტობანი; 21. ანოდი; 23. ღალია.

**თარაზულად:** 6. მელანქოლია; 7. კაზალსი; 8. გელაპი; 9. ხაჭაპური; 14. მაჩაბელი; 15. ზამენგოფი; 18. ტატრა; 20. მადრიდი; 22. ბაღდათი; 24. უნიათო; 25. ტაბლოიდი; 26. არიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფლობერი; 2. ბურნუთი; 3. ნიაღვარი; 4. ბესიკი; 5. ბოდრუმი; 8. მისხალი; 9. მისისიპი; 12. პოლიგონი; 13. სირტაკი; 16. მალპენსა; 17. კაპრონი; 19. ნერუდა; 20. ჟიგოლო.

**თარაზულად:** 6. ალტრუიზმი; 7. მეეზოვე; 8. მუღამი; 10. შერბური; 11. პული; 14. ბრისტოლი; 15. ალკატელი; 18. მაუგლი; 21. ესკარპი; 22. ქინთი; 23. ასკერი; 24. ტაქსაფონი.

## უკრაინის პრეზიდენტმა ყოფილი შს მინისტრი შეიწყალა

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ქვეყნის ყოფილი შს მინისტრი იური ლუცენკო შეიწყალა. შესაბამისი ბრძნებულება პრეზიდენტის საიტზე დღეს გამოქვეყნდა.

გასული წლის თებერვალში იური ლუცენკოს, რომელიც 2010 წელს დააკავეს, ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიესაჯა.

სასამართლოს დადგენილების მიხედვით, ლუცენკომ უკანონოდ დაინიშნა საკუთარი მძღოლი, მას სახელმწიფოს კუთვნილ ბინაში ცხოვრების უფლება მისცა და ხელს უწყობდა, რომ პენსია დარიცხოდა. სასამართლომ ასევე დანაშაულად მიჩნია, 2009 წელს მილიციის დღის გადაჭარბებული პომპეზუროიბით აღნიშვნა, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი იყო.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში უკრაინის უმაღლესი რადას წარმომადგენელმა ვალერია ლიტკოვსკაიამ, რამდენიმე ხნის წინ მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს, ლუცენკოს შეწყალების თხოვნით და მიზეზად ექს-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელდა.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა ისე დატოვა საპყრობილე, დანაშაული არ უღიარებია.

ლუცენკოს სატიმრო ადგილი 2014 წლის ბოლოს უნდა დაეტოვებინა.

## ვენესუელის პრეზიდენტობის კანდიდატმა ყველა ოპონენტი ამომრჩეველი დაწყევლა

ვენესუელას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას მარუდომ, ყველა ოპონენტი ამომრჩეველი, რომელიც მომავალ კვირას დაგეგმილ არჩევნებზე მის წინააღმდეგ მისცემს ხმას დაწყევლა.

„საუკუნოვანი წყევლა მათ, ვინც ხმას სხვას მისცემს“, – განაცხადა ნიკოლას მადურომ. აღნიშნულ განცხადებას პრეზიდენტობის მეორე კანდიდატი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ვენესუელას მოსახლეობისთვის ერთადერთი წყევლა ის იქნება, თუ მადურო საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს.

„ის, ვინც ხალხს დაემუქრება და დაწყევლის, უფლება არ აქვს ქვეყნის მართველი იყოს“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ენრიკე კაპრილესმა.

ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნები მომავლ კვირას ჩატარდება, სადაც უგო ჩავესის შემცვლელად ნიკოლას მარუდო და ენრიკე კაპრილესი იბრძვიან.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლას მადურო ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი მარტის დასაწყისში გახდა.

ფიცის დადების ცერემონიალი უგო ჩავესის პანაშვიდის შემდეგ კარაკასის ეროვნულ ასამბლეაზე გაიმართა. პრეზიდენტმა ჩავესმა, რომელიც კიბოს დიაგნოზით 5 მარტს გარდაიცვალა თავის მემკვიდრედ სწორედ მადურო დაასახელა.

ქვეყნის ოპოზიცია მადუროს გაპრეზიდენტებას ბოიკოტს უცხადებს. მათი განცხადებით აღნიშნული ქმედება კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. კანონმდებლობის მიხედვით პრეზიდენტის პოსტის დაკავება მხოლოდ ეროვნული ასამბლეის სპიკერს შეეძლო.

ფიცის დადების ცერემონიალის შემდეგ მადურომ განაცხადა, რომ ვენესუელა სოციალური განვითარების გზაზე სვლას განაგრძობს.

## ჩრდილოეთ კორეა უცხოელ დიპლომატებს ქვეყნის დატოვებას სთავაზობს

ფხენიანში რუსეთის საელჩოს პრესპიკერის დენის სამსონოვის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთისა და სხვა სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს ქვეყნის დატოვება შესთავაზა.

„ჩრდილოეთ კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის გამწვავებიდან გამომდინარე საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ქვეყნის დატოვება შესთავაზა. ჩვენი საელჩო ამ წინადადებას უკვე განიხილავს“, – განაცხადა საელჩოს პრესპიკერმა დენის სამსონოვმა.

მისივე თქმით ფხენიანში სიმშვიდე შეიმჩნევა და რუსეთის საელჩო ჩვეულ რეჟიმში მუშაობს.

ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საელჩო.

ამ ფონზე, გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, ჩრდილოეთ კორეას განცხადებებს ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით უარყოფითად აფასებს. მან ყველა მხარეს სიტუაციის დროულად და მშვიდობიანად განმუტხვისკენ მოუწოდა.

გენერალური მდივნის განცხადებით, ქვეყნებს შორის ნებისმიერმა გაუგებრობამ შესაძლოა დიდი ზიანი გამოიწვიოს, რომელიც სახელმწიფოებზე მკვეთრად უარყოფითად აისახება.

თავის მხრივ, აშშ-მა საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოცდა ჩრდილოეთ კორეასთან ურთერთობებში არსებული კრიზისის გამო გადადო.

აღნიშნული გამოცდა უახლოეს დღეებში კალიფორნიაში არსებულ ბაზაზე უნდა განხორციელებულიყო.

პენტაგონის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპაზე ნებისმიერმა სამხედრო გამოცდამ შესაძლოა აღნიშნული კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავოს. სავარაუდოდ, რაკეტების გამოცდა მაისში გაიმართება.

სიტუაცია კორეის ნახევარკუნძულზე მარტში დაიძაბა, როდესაც ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ რიგი მკაცრი განცხადებები გააკეთა და ამასთან, არც ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხა.

## აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ევროპასა და აზიაში ათდღიან ტურნეს იწყებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, ევროპასა და აზიაში 10-დღიანი ტურნეს ფარგლებში პირველად თურქეთს ეწვია. სადაც თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებსა და სირიაში არსებულ კონფლიქტის შესახებ მოლაპარაკებებს გამართავს.

ვიზიტის ფარგლებში ჯონ კერი თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანსა და საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმეტ დავუთოღლუს შეხვდება.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის განცხადებით, მისი ვიზიტი თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების მოგვარებას შეუწყობს ხელს. ჯონ კერი ორ ქვეყანას ურთიერთობების სრული ნორმალიზებისკენ მოუწოდებს.

თურქეთის შემდეგ, ჯონ კერი ისრაელს, ბრიტანეთს, სამხრეთ კორეას, ჩინეთსა და იაპონია ეწვევა.

ჯონ კერი სენატორი იყო მასაჩუსეტსის შტატიდან, 1985-2013 წლებში. აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე 2009-2013 წლებში. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ბარაკ ობამამ წარადგინა სახელმწიფო მდივნის პოსტზე. იგი იყო დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი 2004 წლის არჩევნებში.

## ისლამისტურმა დაჯგუფებამ ბლოგერების წინააღმდეგ აქცია გამართა

ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში, ისლამისტურმა დაჯგუფებებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მკაცრი სანქციების დაწესებას იმ ბლოგერების მიმართ მოუთხოვდნენ, რომლებიც ისლამური რელიგიის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელ ინფორმაციას ავრცელებენ.

ბანგლადეშის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აქციაზე 100 ათასი ადამიანი შეიკრიბა, რომლებმაც მთელი ქვეყნის მაშტაბით „ხანგრძლივი მარში“ მოაწყვეს.

წინა კვირას გამართულ საპროტესტო აქციაზე კი დაპირისპირებულ მხარეთა შორის შეტაკება მოხდა, რასაც 45 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბანგლადეში წარმოადგენს მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეშვიდე ქვეყანას(155 მლნ) და შედის მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების რიგში. აქ სიღარიბის დონე ძალიან დიდია.

რელიგია: ისლამი 88%, ინდუიზმი 10%.

## ავღანეთში ექვსი ამერიკელი დახოცეს

ავღანეთში აშშ-ის ექვსი მოქალაქე დაიღუპა, რომელთა შორის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელია.

ანა სმედინგოფი, რომელიც ცოტა ხნის წინ სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ქაბულში ვიზიტისას ახლდა, ამჟამად თავის კოლეგებთან ერთად ავღანეთის ერთ-ერთ სკოლას სტუმრობდა, სადაც მათ წიგნები უნდა დაერიგებინათ. გზაზე მომხდარი თავდასხმის შედეგად, სმედინგოფის გარდა, აშშ-ის არმიის სამი ჯარისკაცი და პენტაგონის სამოქალაქო თანამშრომელი დაიღუპა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა თალიბებმა საკუთარ თავზე აიღეს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმის დროს დაღუპულებთან ერთად პროვინცია ზაბულის გუბერნატორიც იმყოფებოდა, თუმცა ის არ დაშავებულა.

მომხდარის გარდა, კიდევ ერთი ამერკელი სამოქალაქო მსახური ქაბულთან ახლოს მოკლეს, თუმცა აღნიშნული ინციდენტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ამ ფონზე, აშშ-ის გაერთიანებული შტაბების კომიტეტის უფროსი გენერალი მარტინ დემპსი ავღანეთში ჩავიდა, რათა დააზუსტოს ქვეყნიდან ჯარების გაყვანის სტრატეგია.

დემპსის ვიზიტის ძირითადი მიზანია შეაფასოს თუ რამდენი ამერიკელი ჯარისკაცის დატოვება იქნება საჭირო ავთანეთში 2014 წელს საერთაშორისო კონტინგენტის გაყვანის შემდეგ.

წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, ავღანეთში 10 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი დარჩება, რომლებიც ადგლობრივი სამხედრო და პოლიციური ძალების სწავლებით დაკავდებიან.

შეგახსენებთ, რომ „აისაფის“ სამშვიდობო ძალები ავღათანეთს 2014 წელს დატოვებენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ჟიული გაგუა, შვილები სოსო და სოფო, რძალი ნათია ყვანია, სიძე გიორგი ბლაგიძე, ძმები გელა და თემურ მარგველაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ხათუნი (მარინე) მარგველაშვილის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 7 და 8 აპრილს.
დაკრძალვა: 9 აპრილს, 14 საათზე.
მის:. თბილისი, სოხუმის ქ. №5.

გელა და თემურ მარგველაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დის

**ხათუნი (მარინე) მარგველაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამომცემლობის თანამშრომლის გვანცა ჯობავას მამა

**თენგიზ ჯობავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობა „არტანუჯი“ თანაგრძნობას უცხადებს გვანცა ჯობავას მამის

**თენგიზ ჯობავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი**
**8 აპრილი**

06.30 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებანი“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.15 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 17.00 დ/ფ „უხილავი სამყარო“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დავჭორწინდეთ“ 21.00 ტ/სერ „როსელა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „შემოჭრა“ (ნ. კიდმანი) 02.30 ტ/სერ „ნაფიცი მსაჯულები“ (ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „სტოკჰოლმი“ 09.00 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია“ (ა.ჩერლენტანო) 10.45 მხ/ფ „პიკის საათი-3“ (კ.ტაკერი) 12.15 მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს“ (კ.ზეტა-ჯონსი) 14.00 დ/ფ „ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში“ 15.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „ფერების სამყარო“ I ნაწ. 17.00 „ბრიფინგის დრო“ (მიმდინარე დღის) 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 10 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 4 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ“მომხიბვლელობის კანონი“ (პ.ბროსნენი) 00.15 მხ/ფ“წაიკითხე და დაწვი“ (ჯ.კლუნი) (ტიტ.) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 მხ/ფ „ლომა – დავიწყებული მეგობარი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ეთნოგრაფია 10.55 კვირიკე 12.10 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე“ 13.05 კონცერტი -ანს.„სახიობა“ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ბამბაზიის სამოთხე“ 17.40 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ნინო“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ „უგვირგვინო მეფე“ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელინადი 23.35 „9 აპრილი“ (თ. გამყრელიძის გამოსვლა) 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 დოკ/ფ „შორია გურჯისტანამდე“ 01.30 დოკ/ფ „პირველად იყო სიმღერა“

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30თოქშოუ „სუბიექტური აზრი“ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქშოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 „ყოველდღიური ამბები“ 22.20, 2.30 თოქშოუ „პოლიტტეტრი“ 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**8 აპრილი**

აშშ დოლარი — 1,6514

ევრო — 2,1339

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5143

100 რუსული რუბლი — 5,2225

## ამინდის პროგნოზი 8 აპრილისთვის

## იაპონელების შოუ თბილისშია

ეკა ირემაშვილი

19-21 აპრილს იაპონიის საელჩო საქართველოში წარმოადგენს შოუს „გამარჯობა“, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს.

– ჩვენთვის დიდი პატივია გაცნობოთ, რომ იაპონიის საელჩო საქართველოში, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრთან ერთად, 19-21 აპრილს გეგმავს ჩაატაროს თეატრალური წარმოდგენები „ჯითიაი“ კავკასიის მხარდაჭერით იაპონიიდან მოწვეული პანტომიმის დუეტის „გამარჯობას“ მონაწილეობით. „გამარჯობა“ მსოფლიოში აღიარებული კომედიური პანტომიმის ჯგუფია. მათი მრავალფეროვანი წარმოდგენები ნებისმიერი ენობრივი თუ კულტურული ბარიერის მიღმა დგას. სწორედ ამიტომ ჯგუფს ხშირად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებზე. „გამარჯობამ“ უკვე ჩაატარა 200-ზე მეტი წარმოდგენა 32 ქვეყანაში. მათი სასცენო თუ ქუჩის წარმოდგენები ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობს მაყურებლებში. ჯგუფმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ისინი უამრავ მოწვევას იღებენ მთელი მსოფლიოდან, სამშობლოში კი ძალზე პოპულარულები არიან ყველა ასაკის მაყურებელთა შორის, როგორც ფესტივალებსა თუ თეატრალურ წარმოდგენებში, ისე სატელევიზიო გამოსვლებსა და სარეკლამო რგოლებში. ამასთან, ჯგუფის წევრები ჟურნალ „ნიუსუიკის“ იაპონურმა გამოცემამ „მსოფლიოში 100 ყველაზე პატივსაცემ იაპონელს“ შორის დაასახელა, – ნათქვამია იაპონიის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

იაპონიის საელჩო გეგმავს, თბილისში გამართოს დუეტ „გამარჯობას“ რამდენიმე წარმოდგენა. 19 აპრილს შოუ წარმოდგენილი იქნება „ქართულ სასწავლებელში“, საქართველოს კარიტასში, 20 აპრილს – ქუჩის წარმოდგენა პარლამენტის ყოფილი შენობის წინ, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში, 21 აპრილს – მთაწმინდის პარკის ამფითეატრში, სამეფო უბნის თეატრში. ყველა ღონისძიებაზე დასწრება უფასოა.

## სალომე ქათამაძე საქართველოს იურმალაში წარადგენს

ეკა ირემაშვილი

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველო იურმალას მუსიკალურ კონკურსზე ბრუნდება. ქართველი მომღერალი სალომე ქათამაძე წელს იურმალას მუსიკალურ ფესტივალზე „ახალი ტალღა 2013“ საქართველოს წარმომადგენელი იქნება. უკრაინის დედაქალაქში გადაწყდა, რომ ქართველი მომღერლებიდან ამ კონკურსზე სწორედ სალომე ქათამაძე იმღერებს. კიევში გამართულ კონკურსზე ქართველი მომღერლებიდან ნინი ცნობილაძე და სალომე ქათამაძე იმყოფებოდნენ და გამარჯვებულიც მათ შორის დასახელდა. თბილისში დაარსდა იგორ კრუტოის კომპანია „არსი“, რომელშიც ვალერი მელაძე და ბესრო შპეტიშვილიც შედიან.

კიევში გამგზავრებამდე ქართველი კონკურსანტები თბილისში ჩამოსული ჟიურის წევრებისთვის მღეროდნენ. კონკურსში მონაწილეობის მსურველ 35-მდე მომღერალს შორის ვალერი მელაძემ, ნანი ბრეგვაძემ, რუსა მორჩილაძემ, ბესო შპეტიშვილმა (ბრენდონ სტოუნმა), ალექსანდრე რევზინმა ორი რჩეული დაასახელეს. წელს კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სალომე ქათამაძემ, ნინი ცნობილაძემ, თემო საჯაიამ, მიშა სულუხიამ, თაკო გაჩეჩილაძემ, ნინი წიკლაურმა, ოთო ნემსაძემ, მაგდა ვასაძემ და სხვა მომღერლებმა. მათ ერთი ეროვნული სიმღერა და ერთიც მსოფლიო ჰიტი შეასრულეს.

ჟიურიმ ორი კონკურსანტი შეარჩია – ნინი ცნობილაძე და მაგდა ვასაძე. საბოლოოდ კი კიევში გამართულ კოკურსში არჩევანი სალომე ქათამაძეზე შეჩერდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი კომპოზიტორის სიმღერას შეასრულებს სალომე ქათამაძე იურმალას სიმღერის კონკურსზე. ცნობილია, რომ კონკურსანტმა სამ ტურში უნდა მიიღოს მონაწილეობა და პირველ ტურში მსოფლიო ჰიტი, მეორე ტურში ეროვნული სიმღერა და მესამე ტურში სპეციალურად მისთვის დაწერილი სიმღერა უნდა იმღეროს.

საქართველოს ბოლოს მონაწილეობა იურმალას მუსიკალურ კონკურსზე 2008 წელს მიიღო, როდესაც დუეტმა „ჯორჯიამ“ საქართველოს გამარჯვება და გრანპრი მოუტანა. საქართველოს გრანპრი მოუტანა 1989 წელს მომღერალმა სოსო პავლიაშვილმაც. მის მიერ შესრულებული სიმღერა „სამშობლო“ მაშინ კონკურსის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამ კონკურსში სხვადასხვა წლებში საქართველოს სახელით მონაწილეობდნენ ნინი შერმადინი, ქრისტინე იმედაძე, ლელა წურწუმია, სოფო ხალვაში და სხვა მომღერლები.

სალომე ქათამაძე და ნინი ცნობილაძე უკვე მეორედ გახდნენ ერთმანეთის კონკურენტები. პროექტში „ახალი ხმა“ ორივე ფინალისტები იყვნენ და გამარჯვება სალომე ქათამაძემ მოიპოვა. ამჯერადაც კიევში გამართულ კონკურსში ჟიურიმ არჩევანი სალომე ქათამაძეზე გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ნინი ცნობილაძე იურმალას კონკურსზე ვერ მიიღებს მონაწილეობას, მისი მონაცემები მოწონებულ იქნა სხვა კომპანიების მიერ და, არ არის გამორიცხული, ის სულ სხვა მუსიკალურ პროექტებში ვიხილოთ.

რაც შეეხება სალომე ქათამაძეს, ის მუსიკალურ წრეში საკმაოდ დიდი ხანია ცნობილია. ის თავს ნანუკა ჟორჟოლიანის აღმოჩენას უწოდებს. მან მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ მუსიკალურ კონკურსში „ბათუმი გოლდენ ტალენტ“, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილზე გასული კონკურსანტისთვის ფესტივალის ორგანიზატორებს 15.000 დოლარი ჰქონდათ დაწესებული, სალომეს კუთვნილი თანხა არ მიუღია. ქუთაისელი მომღერალი თბილისში მოღვაწეობს. ამ პერიოდში გათხოვდა კიდეც და ოჯახურ ცხოვრებასა და კარიერას ერთმანეთს შესანიშნავად უთავსებს.

როგორც ირკვევა, იურმალას მუსიკალური კონკურსი „ახალი ტალღა 2013“ ლატვიაში 23 ივლისიდან 28 ივლისამდე გაიმართება. ამ დრომდე სალომე ქათამაძე კონკურსისთვის მზადებით, რეპერტუარის შერჩევითა და კოსტიუმების შეკერვით იქნება დაკავებული. ქართული დელეგაცია კონკურსზე „ახალი ტალღა 2013“ რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრება და მის შემადგენლობაში შევლენ ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობა, მუსიკალური პროდიუსერი, კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე, დათო ოქიტაშვილი, მაკა საჯაია, დუეტი „ჯორჯია“ და სოფო ხალვაში.

## ახმეტელის თეატრი ტრიუმფატორია

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი ტრიუმფატორია. მან წელს თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალური კავშირის მიერ დაწესებული პრიზებიდან და ნომინაციებიდან ყველაზე მეტი – სამი ნომიანაცია მოიპოვა.

როგორც საქართველოს თეატრალურ კავშირში „ახალ თაობას“ განუცხადეს, თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერმონიალი, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები ფულადი პრემიებით დაასაჩუქრეს.

ნომინაციაში წლის საუკეთესო რეჟისურა გაიმარჯვა რეჟისორმა გოგა თავაძემ სპექტაკლით „მაგიის საოცრებანი“, რომელიც ახმეტელის თეატრში განახორციელა. საუკეთესო მაკაცი მსახიობი წელს გახდა დათო როინიშვილი მესხიშვილის თეატრის სპექტაკლში „ვამეკი დუპლეტი“ შესრულებული როლისთვის. მეორე პლანის მსახიობ მამაკაცად დასახელდა დათო უფლისაშვილი რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „პრინცი ჰომბურგი“ პოლკოვნიკ პოდვინცის როლის შესრულებისთვის. მეორე პლანის მსახიობი ქალი გახდა ბაბუცა ბერიძე მესხეთის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ შესრულებული როლისთვის. ნომინაციაში ახალგაზრდა მსახიობი ქალი გაიმარჯვა ქეთი სვანიძემ ოდეტას როლის შესრულებისთვის რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „გაუმარჯოს ბუშონს“. საუკეთესო სცენოგრაფიაში საუკეთესოდ დასახელდნენ ანკა კალატოზიშვილი ახმეტელის თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის „მაგიის საოცრებანი“ და მაია სხირტლაძე ახმეტელის თეატრში დადგმული სპექტაკლის „ვაჟას“ მხატვრობისთვის. ნომინაციაში ორიგინალური მუსიკა გამარჯვება მოიპოვა ვატო კახიძემ მარჯანიშვილის თეატრში ლევან წულაძის მიერ დადგმული სპექტაკლის „როგორც გენებოთ“ მუსიკალური გაფორმებისთვის. საუკეთესო თეორიული ნაშრომი წელს გახდა ნოდარ გურაბანიძის „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე“, ხოლო საუკეთესო კრიტიკული ნაშრომი გახდა გურგენიძის „დამიბრუნეთ ბავშვობა“. დიპლომებთან ერთად გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფულადი პრემიები, რომელიც თეატრალურმა საზოგადოებამ გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცა.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– შარშან ჩვენ ორი პრიზი ავიღეთ, წელს სამი, მომავალ წელს ოთხი და ასე ვაპირებთ გაგრძელებას.

***– ელოდით ასეთ წარმატებას?***

– როდესაც თეატრში რაღაცას აკეთებ, ყოველთვის მოელი, რომ მას შედეგი ექნება, თუნდაც მაყურებლის თვალსაზრისით. მოლოდინის რეჟიმი თეატრში სიკეთისკენ ყოველთვის არის, ასევე ცვალებადობისა და წინსვლისკენ. ორმაგად სასიამოვნოა, როდესაც საქართველოს მასშტაბით ყალიბდება ჟიური, ნახულობს სპექტაკლებს და გამოკვეთს ხოლმე რჩეულებს. შარშან ორი პრიზი წამოვიღეთ, 14 იანვარს ქართული თეატრის დღესასთან დაკავშირებით მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის გია ჯაფარიძე დაჯილდოვდა, საუკეთესო სცენოგრაფიისთვის – აივენგო ჭელიძე. წელს უკვე სამ პრიზზე გავედით. ეს ძალიან ღირსშესანიშნავი ფაქტია. საკ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ფაჩულიას ოპერაციამ წარმატებულად ჩაიარა

– ოპერაციამ კარგად ჩაიარა და თავსაც კარგად ვგრძნობ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას ყურადღებისთვის და გვერდში დგომისთვის, – ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ საკუთარ ფეისბუქის გვერდზე. ამ განცხადებას ზაზა ფაჩულიას ნაოპერაციევი ფეხის ფოტოსურათი მოსდევს.

ფაჩულიამ ტრავმირებული მარცხენა ფეხის აქილევსის მყესზე ოპერაცია წარმატებით გაიკეთა. უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო პერიოდი, რომელიც, წინასწარი გათვლებით, 6 თვეს გასტანს, თუმცა შესაძლებელია, ზაზა მწყობრში ნაადრევად ჩადგეს. თითოეულ დღეს ოქროს ფასი და მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ნაკრები დამდეგ სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს და ქართველი ქომაგების სურვილი ფაჩულიას დროულად გამოჯანმრთელება და ნაკრების დახმარებაა.

**მ. უ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 8 აპრილისთვის

ეს დღე სიხარულს მოგიტანთ

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** – არავის დაუჯეროთ, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **ლომი** – დიდი ხნის ოცნება სწორედ დღეს აგისრულდებათ!. **ქალწული** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **სასწორი** – შეცვალეთ თქვენი ცხოვრების წესი და გამხიარულდებით. **ღრიანკალი** – არ მოიწყინოთ, სიურპრიზი გელოდებათ! **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **მერწყული** – დაბრკოლებას გადალახავთ და თავს უკეთ იგრძნობთ. **თევზები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ჯოსვოხელი

**თარაზულად:** 5. ვენესუელის დედაქალაქი; 6. ორთითა ხელსაწყო მუსიკალურ საკრავთა ამწყობთათვის; 9. ტროტუარი; 10. ფილმის ჩვენება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 11. სამაგიდო თამაში; 13. მღვდელი საფრანგეთში; 15. სასახლე იტალიაში; 18. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 21. რაიმე დაწესებულების პირადი შემადგენლობა; 22. ერთგვარი რბილი დივანი; 23. კლიავის არაყი.

**შვეულად:** 1. კოსმეტიკის სახეობა; 2. ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმი; 3. ნუშში შემავალი ცილოვანი ნივთიერება; 4. ფრენის უუნარო ზღვის ფრინველი; 7. ხმის გასაძლიერებელი მოწყობილობა; 8. ხელის პატარა ამწე გემზე; 12. ჰიპნოსის ტყუპისცალი ძმა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. ... ბონაპარტი; 16. სწორი ბალახიანი ადგილი; 17. თირკმელების ანთება; 19. ინდოელი ქალის კაბა; 20. შლამის თევზი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*